საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკიდრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი. 2017 წ. №186 (8323), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხალხი მტკიცედ მოითხოვს, რომ საკადრისი მიეზღოს ქვეყნის წინაშე ყველა დონის დამნაშავეს!

დაუსჯელობა დანაშაულის ნახალისებაა!

ფანტასტიკური აპანტიურა! ⑤

სააკაშვილის მოქმედებას უკრაინაში კატასტროფის გამოწვევა შეუძლია

ჩემი აზრით, სამართლებრივ კაზუსთან გვაქვს საქმე

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ჩვენი ქვეყნისთვის მიხეილ სააკაშვილი არის ძალიან სამწუხარო პოლიტიკური წარსული.

„პოლიტიკური შეფასებები უადგილოა. ჩემი აზრით სამართლებრივ კაზუსთან გვაქვს საქმე. სამწუხაროა, რასაც ჩვენ დღეს ვუყურებთ. რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, ამაზე ჯობს, იმ ინსტიტუტებმა გააკეთონ კომენტარი, ვისაც ეს ხელეწიფება“, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კვირიკაშვილმა.

ნარმეულ მინას დაიბრუნებ, ③ გაყიდულს – ვერა!

ხანძარს ნუ გააჩენთ პარლამენტარებო, შეჩერდით!

„საქართველოს ბანკის“ დამყაჩაღებელმა თავი მოიკლა

„საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეჭრილმა პირმა თავი მოიკლა. შემთხვევა მას შემდეგ მოხდა, რაც ის გუშინ წერეთლის გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში დაყაჩაღების მიზნით შეიჭრა.

საგანგაშო ღილაკზე თითის დაჭერიდან 1,5 წუთში პოლიცია ადგილზე მივიდა. პოლიციამ პირს დანებება შესთავაზა, თუმცა მან თვითმკვლელობა არჩია. საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

ღვინის საწარმოები შეუფერხებლად გადაამუშავებენ სეტყვისგან დაზიანებულ ყურძენს ⑨

შვიდი საოცარი მიზეზი, რის გამოც საქართველოს უნდა ეწვიოთ ⑫

ჯუმბერ სარდლიშვილი ⑦

თანამედროვე „სიბრძნე სიცრუისა“

მაჟორიტარული სისტემის გაუქმება ისტორიული ცვლილება იქნება...

ვერ დავეთანხმები პრეზიდენტის მოსაზრებას, რადგან ჩვენ შევიმუშავეთ საკონსტიტუციო პროექტი, რომელიც არის შეთანხმების შედეგი და რომელიც ეფუძნება სამ პრინციპს — ძლიერი პარლამენტი, ეფექტური მთავრობა და უპარტიო პრეზიდენტი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მაკკეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. მისივე თქმით, საქართველო გადადის ერთმანდატიან არჩევნებზე, ამაზე მიდიოდა ღია დებატები გუნდის შიგნითაც.

„ეს არ იყო მარტივი პროცესი, რადგან უმრავლესობის შიგნით ხუთი პარტიაა. შესაძლოა, კონსტიტუციის პროექტი არ იყოს იდეალური, მაგრამ ყველა პოლიტიკურ პარტიას, აქვს თავისი დღის წესრიგი. არსებობენ პარტიები, რომლებსაც რაც არ უნდა შესთავაზო, აუცილებლად შეეწინააღმდეგებიან. ის, რომ ჩვენ გვაქვს უმრავლესობა პარლამენტში, ეს არის ჩვენი ხალხის პასუხი ავტორიტარიზმს, ჩვენ ამ უმრავლესობას ძალიან ფრთხილად ვეკიდებით“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება ისტორიული ცვლილება იქნება.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი შეხვედრები გამართა

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, პირველი შეხვედრები ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პრეზიდენტთან კენ ვოლაკთან და „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის“ (IFES) პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორთან უილიამ სვენსთან გამართა.

შეხვედრებისას საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს. თამარ ჩუგოშვილმა ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმა და ქვეყანაში არსებული წინასაარჩევნო გარემო გააცნო. საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს პარტნიორი ორგანიზაციების როლი ქვეყანაში დემოკრატიის განმტკიცების საქმეში.

„ევროპულ საქართველოს“ ნინო ბურჯანაძე ესიმპათიურება...

„ევროპული საქართველოს“ ქობულეთის მერობის კანდიდატი ელგუჯა გოგმაჩაძე აღარ იქნება. ამის შესახებ პარტია განცხადებას ავრცელებს. გაზეთმა „ბათუმელებმა“ ევროპული საქართველოს ქობულეთის მერობის კანდიდატთან ელგუჯა გოგმაჩაძესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც გოგმაჩაძემ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპათია გამოხატა. პარტიის განცხადებაში წერია, რომ ბურჯანაძის შეხედულებები ფუნდამენტურად შეუთავსებელია „ევროპული საქართველოს“ ღირებულებებთან, ამიტომ პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, მერობის კანდიდატი ჩაანაცვლოს.

„ნინო ბურჯანაძის შეხედულებები ფუნდამენტურად შეუთავსებელია „ევროპული საქართველოს“ პოლიტიკურ ღირებულებებსა და პოზიციებთან. ევროპული საქართველოს სახელით ასეთი შეხედულებების მქონე პოლიტიკოსები არჩევნებზე ვერ იბრძოლებენ. ამიტომ პარტიის სამდივნოსა და რეგიონული ორგანიზაციის შეთანხმებით, ელგუჯა გოგმაჩაძე აღარ იქნება 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ქობულეთის მერობის კანდიდატი. უახლოეს მომავალში პარტია ახალ კანდიდატს წარადგენს“ — წერია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სააკაშვილს უკრაინაში სამ ბრალდებას წაუყენებენ

უკრაინის საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურმა მთავარ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის და მისი მომხრეების მიერ საზღვრის უკანონო გადმოკვეთასთან დაკავშირებით ოფიციალურად მიმართა. საზღვრის დაცვის წარმომადგენლის ოლეგ სლობოდიანის განცხადებით, საქმე გვაქვს მთელ რიგ კანონდარღვევებთან და ახლა მათი სამსახურის მოვალეობაა, ყველაფერი დოკუმენტურად აღრიცხონ ცხელ კვალზე და პროკურატურას გადასცენ. მისივე თქმით, საუბარია სამ ეპიზოდზე.

„ეს არის რეჟიმის ობიექტზე უკანონო შეჭრა, რაც საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევაა პოლონეთის მხრიდან. პირთა ჯგუფის მიერ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთა და ასევე, საზღვრის დაცვის სამსახურის თანამშრომლებისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ეს შეეხება ყველას, ვინც საზღვარი გადმოკვეთა, მათ შორის დეპუტატებს და სააკაშვილს“, — აცხადებს სლობოდიანი და მისივე თქმით, პროკურატურისთვის მასალების გადაცემა გარკვეულ დროს წაიღებს.

სააკაშვილის სასამართლო 18 სექტემბერს ჩაინიშნა

სააკაშვილის საქმის სასამართლო განხილვა უკრაინაში 18 სექტემბერს 15:00 საათზეა დაგეგმილი. ინფორმაციას უკრაინის სასაზღვრო დეპარტამენტის წარმომადგენელი ვლადიმერ შერემეტი ავრცელებს. მისი თქმით, სასამართლო 18 სექტემბერს ჩაინიშნა და აუცილებელია, რომ მიხეილ სააკაშვილი სასამართლოში გამოცხადდეს.

სააკაშვილს ბრალად უკრაინის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ედება.

ქართული მხარე უკრაინის გადაწყვეტილებას ელოდება

ჩვენი მხრიდან გადავუგზავნეთ ყველანაირი დოკუმენტაცია, რომელიც არის გასწორებული და დანარჩენი უკრაინულ მხარეზეა დამოკიდებული, რა ნაბიჯებს გადადგამს — ეს განცხადება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების საკითხზე საუბრისას გააკეთა. თეა წულუკიანი ამბობს, რომ ქართულმა მხარემ უკრაინას საქართველოს მესამე პრეზიდენტის ექსტრადირების მოთხოვნით კიდევ ერთხელ 1 სექტემბერს მიმართა.

კითხვაზე, რამდენად სწორია პოლიტიკური კუთხით საქართველოს მესამე პრეზიდენტის დაკავება, წულუკიანი ამბობს, რომ დღეს პოლიტიკურად მიხეილ სააკაშვილი აღარავის აინტერესებს, მათ შორის არც მის ახლანდელ თანაგუნდელებს.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ერთადერთი, ვისთვისაც საინტერესოა სააკაშვილი, არის საქართველოს მთავარი პროკურატურა. თეა წულუკიანის თქმით, მიხეილ სააკაშვილს პასუხი აქვს გასაცემი იმ ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მის წინააღმდეგ მიმდინარეობს.

სააკაშვილის შესახებ ტოტალიზატორები ფსონებს იღებენ!

ტოტალიზატორი „ვივარობეთი“ ფსონებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის შესახებ იღებს.

აზარტის მოყვარულებს სპეციალური ფსონების დადება შემდეგ პოზიციებზე შეუძლიათ:

„გახდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი ახალი მაიდნის ორგანიზატორი 3 თვის განმავლობაში“, „იქნება თუ არა მიხეილ სააკაშვილი გაძევებული უკრაინიდან 1 თვის განმავლობაში“, „გახდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი საერთო ოპოზიციის ლიდერი“, „შეძლებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი თავისი ძალებით მიაღწიოს კიევამდე 19 სექტემბრამდე“, „დააპატიმრებენ თუ არა მიხეილ სააკაშვილს 25 სექტემბრამდე“.

„ქართველი ბიზნესმენები ჩმორები არიან“!

„ქართული მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი გია კორკოტაშვილი აცხადებს, რომ ქართული მარშის წინააღმდეგ ხელისუფლება შეტევას და რეპრესიებს იწყებს, თუმცა მისი თქმით, მარშის ორგანიზატორები უკან დახევას არ აპირებენ. ხელისუფლებასთან ერთად კორკოტაშვილი ბიზნესმენებსაც აკრიტიკებს და მათ „ჩმორებს“ უწოდებს.

„ქართველი ბიზნესმენები, რამდენიმეს გამოკლებით, არიან „ჩმორები“, აი ასე დაწერეთ, როგორ შეიძლება ასეთ რამეებს ხედავდე, რომ მიზანმიმართულად მიდის ხალხის გადაჯიშება. ახალგაზრდებს შენს ქვეყანაში, 14-15 წლის გოგოებს ყიდიან იმიტომ, რომ გააუპატიურონ... შენ აქ ქართველი კაცი გაჩუმებული ხარ. შენ არც ხმას იღებ და არც ხელს ანძრევ, მარტო ფულს ითვლი“, — აცხადებს გია კორკოტაშვილი.

მკითხველი ბრალდებას ამძიმებს

ისევ ბაქრაძის ტელე-რეკლამოზის გამო...

ღმერთმა აგაშენოთ, რომ კარგა გვარიანად ამხილეთ ქვეყნის დამაქცევარი ნაციონალების პარლამენტის თავმჯდომარე, მართლაც პოლიტიკური ყალთაბანდი, მუქთა ცხოვრებას მიჩვეული დავით ბაქრაძე (ისე თვითონ მავნე ნაციონალებს და, მეტადრე, ძებნილ დამნაშავეს, ნაპრეზიდენტალ სააკაშვილს პრეტენზია აქვთ, ქართული სახელმწიფო ჩვენ შევქმენითო!..).

ავტორს ორი კარგი მამხილებელი ფაქტი მოჰყავს, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი მეტად სათვალმჩენო ფაქტი გამორჩა... ნაციონალების ყიზილბაშობის ჟამს ეს ჩვენი ვაჟბატონი ბაქრაძე (რა ვიცი, ზოგი სხვა, უცხო გვარითაც მოიხსენიებს) თავის განუყრელ ამქართან, ანუ პარლამენტარებად დაბადებულ უცხვირპირო გივი თარგამაძესთან და ქოჩორა გიგი წერეთელთან ერთად თითქმის ყოველ წელს აფრიკის სტუმარი იყო. ისე სასეირნოდ კი არა, ლომებსა და ვეფხვებზე სანადიროდ ჩადიოდნენ, რაც კარგა ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ რა ენაღვლებოდათ, როცა ჯიბეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფული ედოთ ნადირობის ლიცენზიის შესაძენად. რა მონადირეებიც არიან, ერთი შეხედვითაც ჩანს, მაგრამ გადარჩენით ერთი მარტივი მიზეზით არიან გადარჩენილები — აფრიკული ლომები და ვეფხვები თურმე მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილ ადამიანებს ჭამენ. განსაკუთრებით იმათ, ვინც თავის ქვეყანას არ ჭამს.

ისე ნამდვილად კარგი იქნებოდა, თუ ამ შემთხვევაში გამონაკლისს დაუშვებდნენ ეს აფრიკულ მხეცთა მეფენი და ამ სამი არამზადა სახელმწიფოს მღლეტავი მონადირის „ჩიჩიასაც“ გასინჯავდნენ.

ჯუმბერ ბასიაშვილი,
ქ. გორი.

კობა დავითაშვილი: თუ ადეიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს, საპროცესო გარიგებაზე თანახმა ვარ

„საქმე რომ დაიძრა, გამოძიება დაიწყო, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მთავარი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი ჯერ განსასჯელის სკამზე არ ზის. ჩემთვის მთავარი დამნაშავე კი სააკაშვილია“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენ-ს“ ყოფილმა პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა.

დავითაშვილის ცემის ფაქტზე საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 8 სექტემბერს დაიწყო. თუმცა, პროცესს თავად დაზარალებული არ დასწრებია. **„პროცესებს არ ვესწრები, რადგან მიმაჩნია, რომ ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი მიხეილ სააკაშვილია. სანამ განსასჯელის სკამზე ის არ დაჯდება, ამ პროცესში მონაწილეობის აზრს ვერ ვხედავ. ზურაბ ადეიშვილი, რომელიც დღეს მთავარი ბრალდებულია, ბრძანების შემსრულებელი და შუალედური რგოლი იყო სააკაშვილსა და უშუალო შემსრულებლებს შორის. რამდენადაც ვიცი, ორმა პირმა ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა და ამის სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმება უფორმდებათ.**

ამასთან დაკავშირებით, პროკურატურამ ჩემი პოზიცია იკითხა. მათ ვუთხარი, რომ თუკი, ისინი ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემენ, მათთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინააღმდეგი არ ვარ. იგივე პოზიცია მაქვს ადეიშვილთან მიმართებაშიც, თუკი, ის სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს, მის მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინააღმდეგი არ ვიქნები. გამოძიება არ უნდა შეწყდეს და ადეიშვილით არ უნდა დასრულდეს, ის სააკაშვილით უნდა გაგრძელდეს“, — აცხადებს დავითაშვილი. მისივე განმარტებით, ის საქმიდან სასურველ შედეგს არ ელოდება.

წარმეულ მიწას დაიბრუნებ, გაყიდულს – ვერა!

მიმართვა საქართველოს პარლამენტის წევრებს: დავით მათიკაშვილს, ანრი ოხანაშვილს, გურამ მაჭარაშვილს, ეკა ბესელიას, ივლიანე წულაიას, ვანო ზარდიაშვილს

თქვენი ინიციატივით, 2017 წლის 31 აგვისტოს საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტები „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ეს საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს იმ მორატორიუმის დარღვევას, რომელიც 2017 წლის 16 ივნისს იქნა მიღებული და რომლის მიხედვითაც, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის“ ამოქმედებამდე, შეჩერებულ იქნა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმის მოქმედება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებას ანიჭებს უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ანუ თქვენ თქვენივე კანონპროექტით ცდილობთ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის დროს მთავარი კონსენსუსის – მიწის ორგანული კანონით – „მიწის კოდექსით“ დარეგულირების შეთანხმებაში კორექტირების შეტანას!

რამდენად სწორია ეს პოლიტიკურად და რამდენად შეუწყობს ხელს ხელისუფლებისადმი ნდობის გაძლიერებას – ძნელი მისახვედრი არაა. ეს მორატორიუმი არის ის ერთადერთი დარჩენილი შეთანხმება კონსტიტუციით დაინტერესებულ მხარესა და ხელისუფლებას შორის, რომელიც შენარჩუნებული იყო და არ იწვევდა ეჭვებს წინამდებარე კანონპროექტებამდე.

რა ისეთი მნიშვნელობის მიზანია ამ კანონპროექტების უკან, რომელიც საკონსტიტუციო მორატორიუმის დარღვევას არ ერიდება, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო პროცესში დაინტერესებულ მხარეთა შეუთანხმებლობამ დიდად დააზიანა ხელისუფლების იმიჯი არა მარტო ქვეყნის შიგნით(?!).

თქვენ, კანონპროექტის ინიციატორები, საქართველოს კანონის პროექტზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განმარტებით ბარათში, ანუ კანონპროექტის პასპორტში, რომელშიც უნდა ჩანდეს კანონპროექტის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობა, მტკიცებულების ნაცვლად კმაყოფილდებით ზოგადი ფრაზებით.

აი, კანონპროექტის მთელი „დასაბუთება“: „ორგანულ კანონში უნდა იქნეს გაწერილი ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებიც დღეს მოქმედი მორატორიუმით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, ორგანული კანონის ამოქმედებამდე, გარდამავალ ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების ზოგიერთი საკითხი საჭიროებს მყისიერ მოწესრიგებას. აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პრაქტიკაში წარმოშობილ ობიექტური შემთხვევების სამართლიან გადაწყვეტას, ხოლო, მეორე მხრივ, დაზღვევს იმ საფრთხეებს, რაც გარდამავალ ეტაპზე მიწის გასხვისების დროს შეიძლება შეიქმნას“ (სტილი დაცულია – **ავტ.**).

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თქვენ ქვეყნის პოლიტეკონომიურ სივრცეში შემოგაქვთ დიდი გაურკვევლობა - თურმე მოსალოდნელია „გარდამავალი ეტაპი ორგანული კანონის ამოქმედებამდე“, ეს ეტაპი აღსავსეა „საფრთხეებით“, „ზოგიერთი საკითხი მოითხოვს მყისიერ მოწესრიგებას“. მთავარი ისაა, რომ კი არ იძლევით მათ ახსნასა და მოქმედების გეგმას, არამედ, პრობლემების სიმრავლე ბოლოს დაგყავთ მხოლოდ ერთ მიზანზე: „გარდამავალ ეტაპზე“ კომერციულ ბანკებს მიენიჭოთ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების შეძენის ლეგიტიმური უფლებამოსილება“ და საქართველოს მთავრობას „განსაკუთრებულ შემთხვევებში მიენიჭოს დისკრეციული უფლებამოსილება ზემოაღნიშნული მორატორიუმის მოქმედების განმავლობაში მიიღოს ლეგიტიმური გადაწყვეტილებები იმ დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ, რომლებთან მიმართებაშიც არსებობს დასაბუთებული აუცილებლობა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების მოპოვების თაობაზე“.

კომერციული ბანკებისთვის მიწის ფლობა-განკარგვა, მთავრობის მიერ კაბინეტებიდან მიწით ვაჭრობის დისკრეციები კი არაა მთავარი, არამედ, ნორმალური მიწის ბაზრის არსებობა, რომელიც მოწესრიგებული იქნება კანონმდებლობითა და საბაზრო მექანიზმებით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზეზია მიწის საკუთრებითი და მიწათსარგებლობითი ურთიერთობების სრული მოუგვარებლობა. ამასთან, ვფიქრობთ, გადაუდებელი აუცილებლობაა მიწის კოდექსის სასწრაფოდ მიღება, რომელსაც საფრთხეს უქმნის თქვენ მიერ შემოთავაზებული გამონაკლისების პრაქტიკა და „თეორიები“ გარდამავალი პერიოდების შესახებ.

თქვენ არ აკონკრეტებთ „გარდამავალი პერიოდის“ კონკრეტულ ხანგრძლივობას, თუმცა, გვთავაზობთ პერიოდს სადაც შეზღუდვები იქნება ყველასთვის, გარდა ბანკებისა და მთავრობისთვის.

მაგრამ ეს ხომ ყველაფერი იყო?!

ყველას გვახსოვს,

რომ 2013 წლის 28 ივნისს ზუსტად ისეთივე მორატორიუმი გამოცხადდა, როგორც ახლა – 2017 წლისს 16 ივნისს. მაშინ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით უცხოელებზე (უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი) მიწის გაყიდვაზე მორატორიუმის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

ყველას ჰგონია, რომ ეს მორატორიუმი გააუქმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 ივნისს. სინამდვილეში მან გააუქმა მორატორიუმიდან დარჩენილი ნაწილები.

მორატორიუმი კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყეტილებამდე, გააუქმა საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 20 თებერვალს (matsne.gov.ge/ka/document/view/2257184), დაუშვა რა ზუსტად იგივე გამონაკლისები, რასაც თქვენ დღეს ითხოვთ: მორატორიუმის მოქმედების პერიოდში მიწებით ექსკლუზიური ვაჭრობის უფლება ჰქონოდათ უცხოელებთან კომერციულ ბანკებს და მთავრობას.

მაშინ ამ ინიციატივის ავტორი იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი), დღეს თქვენ ქვეყანას სთავაზობთ ზუსტად იგივე „გამონაკლისების“ ნორმებს, ცოტა უფრო მეტი უფლებებით და კვლავ კომერციული ბანკებისა და მთავრობისთვის.

ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა დავუშვათ, რომ რომელიმე თქვენგანმა არ იცის ზემოთ მოტანილი ისტორია, არ იცის, რომ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნორმები წინათ არსებული საკანონმდებლო ნორმების აღდგენაა. ასეთ შემთხვევაში ელემენტარული ლოგიკით, უნდა მოგეცათ თქვენი ანალიზი და შეფასება ამ ნორმების მოქმედების შედეგებთან დაკავშირებით.

ჩვენი შეფასებით დაშვებული გამონაკლისების მიღებამ მოგვცა სავალალო შედეგები. უმთავრესი კი ის იყო, რომ ეტყობა, ამ გამონაკლისებმა დააკმაყოფილა პოლიტიკური ნების განმსაზღვრელი ელიტა და შეუსრულებელი დარჩა კანონის მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და სხვა მოთხოვნები.

ჩვენ დიდი ეჭვი გვაქვს, რომ თქვენ მიერ შემოთავაზებული „გამონაკლისებისთვის“ ახალი სიცოცხლის მიცემა ისტორიას გაიმეორებს. თუმცა, იმ განსხვავებით, რომ თუ პირველად ეს იყო ისტორია (ჰეგელის სიტყვების პერიფრაზით) ტრაგიკული, ახლა იქნება ფარსის სახით!

საბანკო სექტორთან ხელისუფლების ერთიან ინტერესებში გაერთიანებისა და შერწყმის ცდა, რომელიც კანონპროექტითაა ჩაფიქრებული, ქართველი საზოგადოებისთვის სოციალური ხანძრის შეგნებული გაჩენის ტოლფასია.

მოგვიწოდებთ:

კანონპროექტის ინიციატორებო, სასწრაფოდ გაიწვიეთ თქვენი (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის კანონპროექტიდან „გადმოწერილი“) კანონპროექტი;

ნუ დაუშვებთ კომერციული ბანკებისა და ხელისუფლების შერწყმას;

გააანალიზეთ, თუ რატომ, ვისი მიზეზით არ შესრულდა 2014 წლის 31 დეკემბრამდე მიწის კანონმდებლობის მოწესრიგების კანონისეული მოთხოვნა;

დააჩქარეთ კონსტიტუციური ცვლილებების მიღება;

დააჩქარეთ სრულფასოვანი მიწის კოდექსის მიღება;

შეგახსენებთ:

წარმეულ მიწას დაიბრუნებ, გაყიდულს – ვერა!

ნახანძრალ მიწაზე სიცოცხლეს აღადგენ, გაყიდულ მიწაზე – საფლავსაც ვერ შეინარჩუნებ!!!

ყველა ხანძარს შეიძლება, გადაურჩეს ადამიანი, გარდა ფეხქვეშ მიწის წვისა!

დაფიქრდით! შეჩერდით!

პროფესორები:
პაატა კოლუაშვილი,
გივი თალაკვაძე,
ანზორ მესხიშვილი,
ბადრი რამიშვილი,
ჯუმბერ ფანჩულიძე,
ნიკოლოზ ჩიხლაძე,
მიხეილ ჯიბუტი.

რედაქციისგან:
„საქართველოს რესპუბლიკა“ უერთდება ამ მიმართვის დედააზრს. გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი პოზიცია ამ უმწვავეს ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ნებადართული არ არის

„მორატორიუმი ძალაშია, უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ნებადართული არ არის“ აღნიშნულის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაშია აღნიშნული.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ოპონენტების მიერ ამ თემაზე გაკეთებული განცხადებები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

„მინდა, გამოვეხმაურო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ დაწესებულ დროებით მორატორიუმში შესწორების შეტანის საკითხს. უპირველეს ყოვლისა, მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ მორატორიუმი ძალაშია, უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ნებადართული არ არის და ოპონენტების მიერ ამ თემაზე გაკეთებული განცხადებები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად“.

რატომ არ უნდათ აფხაზებს ჩვენკენ გამოხედვა?

ერთი კვირის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ექსპერტ-პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძესთან,** რომელშიც, ძირითადად, აფხაზეთთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები განიხილებოდა.

როცა ამ ინტერვიუს ვეცნობოდი, თითქმის ყველაფერში ვეთანხმებოდი ბ-ნ სოსოს, მაგრამ გამოხმაურება ინტერვიუს „დამაგვირგვინებელმა“ ბოლო აბზაცმა გადამაწყვეტინა: **„სიმართლე ის არის, რომ ამ პოლიტიკით** (ანუ, როგორსაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ატარებს. — ი.ლ.) **აფხაზებისთვის მიმზიდველები არ ვართ — როგორც ჩვენთვის ნატოა მიმზიდველი და ვიცით, რომ ნატოშია ჩვენი ხსნა, ასეთი განცდა უნდა შეექმნათ აფხაზებსაც — მიხვდნენ, რომ მხოლოდ საქართველოშია მათი ხსნა“**. ამ ერთ წინადადებაში შეცდომაც არის, მცდარი მოსაზრებაც და წინააღმდეგობაც საკუთარ თავთან.

მაშ ასე, დავიწყოთ: **„ამ პოლიტიკით...“** — როგორ დავიჯერო, ბ-მა სოსომ არ იცის, რომ „ამ პოლიტიკას“ საქართველოს ხელისუფლება ამერიკა-„ნატოს“ „დახმარებით“ და „რჩევით“, ანუ მითითებით ატარებს, რომ საკუთარი ინიციატივით იგი ერთ ნაბიჯს არ დგამს არც რუსეთისკენ და არც აფხაზეთისკენ, და არც საომარ მოქმედებებს იწყებს თავისი ინიციატივით — იქ ომობს, სადაც უბრძანებენ (თანაც, თურმე, ჩვენი მწირი ბიუჯეტიდან გვაფინანსებინებენ(!); და ეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის), რომ პარლამენტი იმ კანონებს იღებს, რომლებიც ამერიკა-„ნატოს“ აწყობს და არა — საქართველოს. კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია საკითხავად: როგორღაა **„ნატო“ ჩვენთვის მიმზიდველი?** ვინა თქვა, რომ **„ნატო“-შია ჩვენი ხსნა?** თუ ნამდვილად ასეა, მაშინ ამ „მიმზიდველობის“ და „ხსნის“ შედეგი ხომ აუცილებლად უნდა დაგვენახა 15(!) წლის მანძილზე, ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკა ჩვენი აქტიური „მფარველი“, „მეგობარი“ და „პარტნიორი“ გახდა, პოლიტიკურად ან ეკონომიკურად ცოტათი მაინც ხომ უნდა გვეგრძნო ეს სიკეთე საგარეო ვალის ხუთჯერადი(!) ზრდის ფონზე? მათ სიტყვიერ „შეშფოთებებში“ ვხედავთ ჩვენ ხსნას? ან იქნებ „დემოკრატიის შუქურა“ (მეუღლეთურთ!) რომ შეამზადა და დაგვასვა თავზე 9 წლით, და ახლაც მფარველობს(!), ამით გახდა ამერიკა და „ნატოც“ მიმზიდველი?

„აფხაზებისთვის მიმზიდველები არ ვართ, როგორც ჩვენთვის ნატოა მიმზიდველი..., ასეთი განცდა უნდა შეექმნათ აფხაზებსაც — მიხვდნენ, რომ საქართველოშია მათი ხსნა“. სხვა ადგილას ბ-ნი სოსო დაახლოებით იმავეს იმეორებს: **„რეალურად, მათი გადარჩენის** (როგორც ეთნოსის. — **ი. ლ.**) **შანსი მხოლოდ საქართველოშია. მთავარია, თვითონ დაინახონ ეს“**.

თუკი, კომუნისტების დროს, როცა უამრავი პრივილეგიით სარგებლობდნენ აფხაზები ქართველებთან და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან შედარებით (სამსახურში მოწყობა იყო ეს თუ საკარმიდამო მიწების განაწილება), როცა თანამდებობის პირველ პირებად აუცილებლად აფხაზები ინიშნებოდნენ (მაშინ, როცა ქართული მოსახლეობა რაოდენობით 2-3-ჯერ აჭარბებდა აფხაზურს!), როცა ყველაფერს ვუსრულებდით (კრემლის მითითებით და თანხმობით, ცხადია!) — აფხაზურ ენაზე სწავლება იყო ეს თუ აფხაზური თეატრის, უნივერსიტეტის და ტელევიზიის გახსნა (რომლის მსგავსი პრივილეგიები არ გააჩნდათ სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირში), როცა ბევრი შერეული ოჯახი შეიქმნა, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის (რაღაც ნაწილში) მეგობრობაც იყო, როცა ქართული თითქმის ყველა აფხაზმა იცოდა (მაგრამ ქართულად ხმას ვერ ამოაღებინებდი!) მაშინ, ანუ 70 წლის მანძილზე თუ არ **„შეექმნათ მათ ასეთი განცდა“,** ვერ **„მიხვდნენ“**, ვერ **„დაინახეს“,** რომ **„მათი ხსნა საქართველოშია“,** ახლა, როცა სისხლი დაიღვარა ჩვენს შორის და 30 წელია, ქართველების მიმართ სიძულვილით ზრდიან აფხაზ ბავშვებს და მოსახლეობის აქტიურმა ნაწილმა — ახალგაზრდა და შუახნის ასაკის მოსახლეობამ ორი ღერი ქართული არ იცის (და არც სურს, რომ ისწავლოს!), როცა, როგორც ბ-ნი სოსო ამბობს: **„აფხაზურ ელიტას ჩვენკენ გამოხედვა არ უნდა“**, როგორღა მიხვდებიან, როგორღა დაინახავენ, რომ მათი ხსნა საქართველოშია, ეს ხომ აბსოლუტურად გამორიცხულია! დღეს მათი მხსნელი რუსეთია, რუსეთში ხედავენ ისინი საკუთარი დამოუკიდებლობის გარანტს (არა თქვას ახლა ვინმემ, რომ საქართველოს შემადგენლობაში მეტი დამოუკიდებლობა ექნებათ აფხაზებს, ეს აპრიორი შეუძლებელია, რადგანაც თავად საქართველო არ არის დამოუკიდებელი!). საკუთარ ეთნოსზე ფიქრს რაც შეეხება, ალბათ, აფხაზებს მეტი იმედი აქვთ, რომ რუსებთან და სომხებთან (რომლებიც ყველაზე მეტად ეხმარებოდნენ მათ ქართველების წინააღმდეგ გამართულ ომში) ურთიერთობაში უკეთ შეინარჩუნებენ თვითმყობადობას.

ჰოდა, როცა ასეთი გაუცხოების ფონია, ვერავითარი **„მიმზიდველობა“** ვერ უშველის ქართველებსა და აფხაზებს (ოსებს) შორის ჩამოვარდნილ შუღლს, თანაც, რომელ მიმზიდველობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აფხაზებიც და ოსებიც უკიდურესი გაჭირვების, ბილწსიტყვაობის, შერჩევითი სამართლის, დაუსჯელი ცილისწამების, სასამართლო პროცესებზე(!) მოსამართლეების შეურაცხყოფის, ერთმანეთის და რუსეთის ლანძღვა-გინების, და ამერიკა-„ნატო“-ს სურვილების უსიტყვოდ აღმსრულებელი ხელისუფლების მეტს, სხვა „მიმზიდველს“ ვერაფერს ხედავენ დღევანდელ საქართველოში. ჩვენდა სამწუხაროდ, ალბათ, ვერც მომავალში დაინახავენ, რადგანაც, სახელმწიფო, რომელსაც არაჩვეულებრივად მიმზიდველი ბუნება და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა უკავია, რომელსაც თავს ახვევია „მეგობარ-პარტნიორი“ ამერიკა-ევროპისგან მოვლენილი „მრჩევლები“ (იგივე „ეკონომიკური მკვლელები“ ჯონ პერკინსის მიხედვით), რომელსაც არც სესხები აკლია „განვითარებადი ქვეყნებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარებისთვის“ (დაკაბალებისთვის!) შექმნილი მსოფლიო ბანკისგან და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან, რომელსაც საგარეო ვალი 5-ჯერ გაეზრდება 10 წელიწადში (ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია!), და მაინც ვერ დადგება ფეხზე ვერც ეკონომიკურად და ვერც პოლიტიკურად, „ამ პოლიტიკით“ მიმზიდველი სხვებისთვის კი არა, საკუთარი ხალხისთვისაც ვერ გახდება.

აკი თავადაც აცხადებს ბ-ნი სოსო: **„ჩვენთვის არა გვაქვს ეკონომიკა** (თითქოს, პოლიტიკა ან სხვა რამ გაგვაჩნდეს ჩვენთვის! — **ი. ლ**) **და აფხაზებს და ოსებს რა უნდა შევთავაზოთ? ჯერ ჩვენთვის შევქმნათ ეკონომიკა, რომ ცალი თვალით მაინც გამოიხედონ აქეთ“**.

„შერიგების პოლიტიკა და „ჩვენ ძმები ვართ“, მხოლოდ სადღეგრძელოებში შეიძლება ვთქვათ, რეალობასთან ამას საერთო არაფერი აქვს — მე პოლიტიკოსი არ ვარ და შემიძლია, რაც მინდა ის ვთქვა: კომუნისტების დროიდან აფხაზები ძმებად არ აღგვიქვამენ“. ძირითადი აზრი სწორია, მაგრამ ბ-ნ სოსოს ვერ დავეთანხმები ყველაფრის კომუნისტებზე გადაბრალებაში — თითქოს, ჩვენ და აფხაზები ადრე ძმები ვიყავით და კომუნისტების მოსვლის შემდეგ ვიქეცით მტრებად. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ 1921 წელს, როცა „მონასტერი აირია“, დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდნენ აფხაზები. აფხაზები არც 100 წლის წინათ გვთვლიდნენ ძმებად!

ერთ ინტერვიუში წამოჭრილი საკითხის ირგვლივ

ჩვენს ხელისუფლებას კი, რომ ჰკითხო, ირგვლივ სულ ძმები გვახვევია აფხაზების, ოსების, სომხების და აზერბაიჯანელების სახით, მაგრამ, რატომღაც ყველა ეს „ძმა“ ქართულ მიწას გვეცილება და ისაკუთრებს კიდეც — ზოგი ბრძოლით და ზოგიც — უბრძოლველად. მიუხედავად ამისა, არცერთ მათგანს — არც სომეხს, არც აზერბაიჯანელს, არც აფხაზსა და ოსს, ისე არ მოიხსენიებს ეს ბედოვლათი ხელისუფლება (დღევანდელი თუ წინა, და იმის წინაც!), წინ „ძმები“ რომ არ წარუმძღვაროს. მართლაც ძმებივით რომ იყვნენ ისინი განწყობილი ჩვენდამი, განა ასე აუცილებელია მათ ყოველ ხსენებაზე, წამდაუწუმ „ჩვენი ძმები“, „ჩვენი ძმები“ ვეძახოთ? ამის გარეშე ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა არ შეიძლება?

თურქეთი, ამერიკა და მთლიანად ევროპაც ხომ მთლად ჩვენი „მეგობრები“ გახდნენ — ზოგი „ისტორიული“, ზოგიც — ახლად შეძენილი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ეკონომიკურ ექსპანსიას ახორციელებს, ზოგიერთი კი, ეკონომიკურთან ერთად — პოლიტიკურსაც და, ნაწილობრივ, სამხედრო ექსპანსიასაც. ერთადერთი, ერთმორწმუნე რუსეთია, თურმე, ჩვენი მტერიც (თანაც, ისტორიული!), ქართული მიწების მიმტაცებელიც (და არა — „ისტორიული მეგობრის“ მიერ მიტაცებულის შემმოერთებელი!) და ქართველი ერის გამწყვეტ-ამომგდები (და არა — ფიზიკურად გადამრჩენი)!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბ-ნი სოსოს ინტერვიუს და ამ წერილის მთავარი მიზანი არა ვინმეს კრიტიკაა, არამედ — იმაში გარკვევა, თუ როგორ გვესახება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა.

დღესდღეობით, შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ნულის ტოლია, და თუ ვირის სიჯიუტით გავაგრძელეთ იგივე, ანუ „ნატოზე“ აღებული კურსის პოლიტიკა მომავალშიც, მაშინ ნულს მხოლოდ ნული მიემატება! მაშ, რაშია გამოსავალი და არსებობს კი იგი საერთოდ? **„ამ პოლიტიკით“** არ არსებობს! არც ახლო და არც შორეულ მომავალში! რუსეთი რომ არ არსებობდეს დუნიაზე — არც მაშინ! ბევრს კი ისე წარმოუდგენია, თითქოს, რუსეთი რომ არა, რუსეთი რომ გვერდზე გადგეს, „ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა“, ავშენდებოდით!

ზოგადად, კონფლიქტების მოგვარებაში **გამოსავლის მხოლოდ ორი გზა არსებობს: ძალადობრივი და მშვიდობიანი.**

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ **ომით, სისხლით მოპოვებულს უკან არავინ არ აბრუნებს თავისი ნებით, მშვიდობიანად, მით უფრო, რაღაც ეფემერული „მიმზიდველობის“ გამო,** რის იმედზეც ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი და სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეა, თან, ვერც ვერავინ ამბობს, თუ როდის გვექნება ასეთი მომნუსხავი მიმზიდველობა (გვექნება კი იგი ოდესმე?). ამიტომ, მიმზიდველობაზე ფუჭ ლაპარაკს უნდა შევეშვათ, თეორიულადაც კი არ არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური გზა.

ძალადობრივი გზაც გამოსარიცხია, რადგანაც არასოდეს არ გვექნება იმდენი ძალა, რომ რუსეთის ნების წინააღმდეგ ჩვენი გავიტანოთ. **არათუ ჩვენ, რუსეთიც კი(!), კიდევაც რომ მოინდომოს, ვერ შეძლებს მის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის იძულებას დაბრუნდნენ საქართველოს შემადგენლობაში — აფხაზებისა და ოსების გარდა, ამის წინააღმდეგი წავა მთელი ჩრდილოეთ კავკასია და კავკასიის ხალხების აბუნტება რუსეთს რომ არაფრით არ აწყობს, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება.** ასე რომ, რაკი ვერც ჩვენ მოვახერხებთ ამას საკუთარი ძალებით, და არც რუსეთი გადადგამს საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯს, ძალადობრივი გზაც უნდა დავივიწყოთ (ამერიკა-ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების იმედზე ყოფნა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი იძულებული გახდება რაღაც დათმობებზე წავიდეს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, აფხაზეთ-ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დამოკიდებულებაშიც, და ამით ჩვენც რაღაც გვეშველება, ანუ ტერიტორიული პრობლემები მოგვეხსნება, არასერიოზულია და ამი-

ტომ არც ღირს მასზედ შეჩერება, ამ იმედით მხოლოდ ჩვენი დემაგოგი პოლიტიკოსები და „სახელმწიფო მოღვაწეები“ ასაზრდოებენ გულუბრყვილო და უცოდინარ ხალხს).

თუკი მშვიდობიანი გზაც გამოირიცხა და ძალადობრივიც, მაშინ რაღა დაგვრჩა, არაფერი?! უნდა შეველიოთ ჩვენი (ხელისუფლების) უჭკუობით დაკარგულ ძირძველ ქართულ მიწებს?! სხვა გზა არ არსებობს? გზა კი არსებობს, მაგრამ **სანამ „ამ პოლიტიკას“ სხვა პოლიტიკით არ შევცვლით, საქართველოს გამაერთიანებელ გზას ვერასოდეს ვერ დავადგებით!** პოლიტიკის შეცვლა თვითმიზანი არ არის, **პოლიტიკა უნდა შეიცვალოს საქართველოს ინტერესებიდან(!) გამომდინარე. და უნდა შეიცვალოს ისეთი პოლიტიკით, რომლითაც უპირველესად რუსეთს დავაინტერესებთ, თანაც, ძალიან!**

კი მაგრამ, თუკი არც რუსეთს შეუძლია აფხაზ-ოსების იძულება, ჩვენთვის სასიკეთოდ საქმე როგორღა მოგვარდება? როგორ და, შემდეგნაირად: საქმე იმაშია, რომ იძულებაც არის და იძულებაც. უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, დროის ფაქტორიც, ანუ საქართველოს გამთლიანებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა წავიწოთ წინ.

ჩემი მოკლე მონახაზი ასეთია: თუ რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან მყარ გარანტიებს მიიღებს, რომ იგი ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის „ნატო“-ში გაწევრიანებაზე და ამერიკის სამხედრო ბაზების თუ რაკეტების განლაგებაზე ქართულ მიწაზე (შეიძლება სხვა პირობებითაც დავაინტერესოთ), ამის სანაცვლოდ რუსეთი ჩვენს პირველი რიგის ინტერესსაც გაითვალისწინებს და აიძულებს აფხაზეთის ხელისუფლებას ლტოლვილების (ყველა ეროვნების ლტოლვილის, ვისაც ამის სურვილი ექნება) დაბრუნებას თავ-თავიანთ სახლებში (ამით, ამჟამად გალის რაიონში უკვე დაბრუნებულ 40 ათასამდე ლტოლვილს დაახლოებით 200 ათასამდე ქართველი დაემატება) და მათ უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს (აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან ჩადენილი უკანონობის შემთხვევაში კი მკაცრ ზომებსაც გაატარებს; უსაფრთხოების და წესრიგის დაცვა რუსეთს ნამდვილად ხელეწიფება). ლტოლვილების დაბრუნების წინააღმდეგ ვერავინ ვერ წავა ვერც რუსეთში და ვერც ამერიკა-ევროპაში, ვინაიდან ამ ხალხის ეთნიკური წმენდა და იძულებით აყრა (რუსეთის ხელშეწყობით განხორციელებული!) იყო დანაშაული აფხაზების მხრიდან, მათი დაბრუნება საკუთარ სახლებში კი სამართლიანობის აღდგენასთან ერთად რუსეთისთვისაც მომგებიანი იქნება მორალური თვალსაზრისით — ამით იგი დანაშაულში თანამონაწილეობის ბრალდების უმძიმესი ტვირთისგან განთავისუფლდება. გასაგებია, რომ ეს იქნება მტკივნეული პროცესი და მას აუცილებლად დასჭირდება რუსეთის ძლიერი ხელი, მისი დისციპლინირებული ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან მკაცრი კონტროლი და დაბრუნებული ლტოლვილების დაცვა. ჩვენი დათმობების საპასუხოდ რუსეთმა, ბუნებრივია, ზედამხედველობა უნდა დააწესოს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ადამიანის უფლებების დაცვაზე და არ დაუშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ეს არ იქნება ხანმოკლე პერიოდი, მაგრამ თანდათანობით (წლების შემდეგ) ყველაფერი დალაგდება (დრო საუკეთესო მკურნალია!) და 250 ათასამდე ქართველიც, რუსეთის მხრიდან მხარდაჭერილი (ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით), თავის სიტყვას იტყვის არჩევნებზე, ანუ დემოკრატიული, მშვიდობიანი გზით. იმის თქმა ზედმეტადაც კი მიმაჩნია, რომ **საქართველოსთან შეთანხმებაზე, რუსეთი, ბუნებრივია, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე წამოვა — მას ბევრად უსაფრთხო გაუხდება სამხრეთი საზღვარი და ამიერკავკასიაში ისევ მყარად მოიკიდებს იგი ფეხს!** ჩვენ კი, უფრო სწორად, მომავალ თაობას — შვილებს, შვილიშვილებს საქართველოს გამთლიანების რეალური საშუალება მიეცემათ! **ლტოლვილების დაბრუნება იქნება გადამწყვეტი მნიშვნელობის ბერკეტი საქართველოს გაერთიანების ხანგრძლივ და მძიმე გზაზე!**

იაკობ ლეჟავა,
7 სექტემბერი, 2017 წელი

ფანტასტიკური ავანტიურა!

როგორ მოახვია საკუთარი თავი სააკაშვილმა უკრაინას



„მიხეილ სააკაშვილი, „ვარდების რევოლუციის“ გმირი, რომელმაც საქართველოში ბოლო მოუღო საბჭოური მართვის სისტემას, შემდეგ კი უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორი, დღეს მოქალაქეობის გარეშეა დარჩენილი. მას თავის პირველ სამშობლოშიც დევნიან „ძალაუფლების ბოროტად გამოყენების“ გამო, უკრაინაში კი მოქალაქეობა ჩამოართვეს და ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნაც აუკრძალეს. ამის მიუხედავად, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მაინც მოახერხა კვირა საღამოს უკრაინაში პოლონეთის ტერიტორიიდან შესულიყო და გაანცხადა, „ეს ჩემი უფლებების დაცვის მიზნით გავაკეთეო“ — ნათქვამია გავლენიანი ფრანგული გამოცემის „Le Figaro“-ს მიერ პირ ავრილის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში.

უფრო ადრე (ჯერ ავტობუსში, შემდეგ კი მატარებელში მყოფი) მიხეილ საკაშვილი პოლონეთის ქალაქ პერემიშლში უკრაინის ხელისუფლების ბრძანებით გააჩერეს, მაგრამ იგი ისევ ავტობუსით გაემართა ერთ-ერთი სასაზღვრო-გამშვები პუნქტისაკენ და მხარდამჭერების წყალობით მესაზღვრეთა კორდონის გარღვევა მოახერხა და უკრაინის ტერიტორიაზე შევიდა. ფანტასტიკური ავანტიურის შემდეგ, საქართველოს ყოფილი ლიდერი ავტომობილით ლვოვში მივიდა. მიხეილ სააკაშვილმა ამ ნაბიჯით თავისი ოპონენტი პეტრო პოროშენკო პოლიტიკურად დაამცირა.

„ხედავთ, როგორ არაადამიანურ მეთოდებს იყენებს პრეზიდენტი ჩემს წინააღმდეგ... ჯერ მოქალაქეობა წამართვა საბჭოური მეთოდებით, ახლა კი მთელი მატარებელი მგზავრებით უცხო ქვეყანაში მძევლად აიყვანა... და თანაც სად — ევროკავშირის ტერიტორიაზე...“ — გულისწყრომით ამბობდა მიხეილ სააკაშვილი. მას თან ახლდა ცოლ-შვილი, უკრაინელი მხარდამჭერები და... იულია ტიმოშენკო, უკრაინის პირველი რევოლუციის (2004 წელი) ყოფილი მუზა!

ქარიზმატული რეფორმატორის მიხეილ სააკაშვილის ვარსკვლავმა გაფერმკრთალება რუსეთთან ომის დროს (2008 წლის აგვისტოში) დაიწყო, როცა იგი (სამხრეთ ოსეთზე) და აფხაზეთზე კონტროლის აღდგენას შეეცადა. უკრაინის მაიდნის დროს მიხეილ სააკაშვილმა კიევში ქართველი თანამზრახველებიც ჩაიყვანა, რომლებიც თბილისში ახალი ხელისუფლების მოსვლის გამო იძულებული გახდნენ საქართველოს გარიდებოდნენ. იმ ხანებში მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მედასავლეთე პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხელგაშლილად მიიღო და, რეფორმების გატარების მიზნით, „ქართველი მეგობარი“ ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა. მიხეილ სააკაშვილს ოდესაში მუშაობის დროს ის ანტიკორუფციული მეთოდები უნდა გამოეყენებინა, რომლებმაც ადრე საქართველოში საკმაოდ ეფექტური შედეგი გამოიღო. პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობაც მიანიჭა, თუმცა რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას, ქართველმა ექსპრეზიდენტმა საქართველოს პასპორტის ფლობის უფლება დაკარგა.

სამი წლის შემდეგ მიხოსა და პეტროს შორის მეგობრობის თაფლობის თვე პოლიტიკური კონფრონტაციით დასრულდა. გუბერნატორს, სამსახურის დატოვების შემდეგ, მოქალაქეობაც ჩამოართვეს, თუმცა მოქალაქეობის ჩამორთმევის სამართლიანობას ბევრი ეჭვქვეშ აყენებს. მიხეილ სააკაშვილმა ერთი წლის წინათ, თავისი ქართველი მხარდამჭერის დავით საყვარელიძის (უკრაინის გენპროკურორის ყოფილი მოადგილის) დახმარებით ახალი პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბა, რომელიც, როგორც ჩანს, ახლა ოპოზიციის გამაერთიანებელი გახდება პეტრო პოროშენკოს ხელისუფლების წინააღმდეგ.

უკრაინის ხელისუფლებისა და მისი დიპლომატიისათვის მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული ამბავი (მათ შორის ისიც, რომ კიევი ვარშავასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა არასასურველი სტუმრის გამო) მტკივნეულ ჩავარდნას წარმოადგენს. გარდა ამისა, კიევს მოუწევს რეაგირება მოახდინოს საქართველოს მიმართვაზეც — ექსპრეზიდენტის დაკავებისა და მისი ექსტრადირების შესახებ. წარმოგიდგენიათ, როგორ „არაადამიანურ მეთოდებს“ იყენებენ?

„Le Figaro“ (საფრანგეთი)

სააკაშვილის მოქმედებას უკრაინაში კატასტროფის გამოწვევა შეუძლია

„საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ უკრაინის საზღვარზე გადასვლა ახალი პოლიტიკური სეზონის ყველაზე ხმაურიან მოვლენად იქცა“, — აღნიშნულია გავლენიანი ბრიტანული საგენტოს „BBC“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც ასევე გადმოცემულია უკრაინელი ექსპერტების თვალსაზრისიც მომხდარ ფაქტზე.

ერთ-ერთმა აქტიურმა „გამრღვევმა“ იულია ტიმოშენკომ უკვე გამოაცხადა „ოპოზიციური პროევროპული ძალების“ გაერთიანება ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელისუფლება კი „გარღვევის“ მონაწილეთა უკანონო მოქმედების გამოძიებისათვის ემზადება. პოლიტოლოგების აზრით, სიტუაცია შეიძლება მძაფრ პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდოს.

ვადიმ კარასევის აზრით, ეს ისტორია თვითონ ხელისუფლებამ შექმნა: ჯერ ოფიციოზმა დაარღვია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, შემდეგ კი თვითონ მიხეილ სააკაშვილმა — სახელმწიფოს საზღვრის ხელშეუხებლობა. ასე რომ, როცა ექსგუბერნატორს სახელმწიფოს იმიჯისადმი ზიანის მიყენებაში ადანაშაულებენ, ჩინოვნიკები საკუთარ მოქმედებაზეც უნდა დაფიქრდნენ. ახლა საჭიროა პაუზა ორივე მხარისაგან, რომ სასამართლომ თავისი სიტყვა თქვას. თუმცა უკვე გასაგებია, რომ ოპოზიციამ „დროშა“ მიიღო საპროტესტო გამოსვლებისათვის. ოპოზიცია ერთიანდება, რაც ხელისუფლებისათვის საშიშია და კრიზისს გამოიწვევს.

თუმცა, როგორც პოლიტოლოგი სერგეი გაიდაი თვლის, ეს გაერთიანება ოპოზიციის კლასიკური გაერთიანება კი არაა, არამედ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების ირგვლივ: **„ერთიანი მტკიცე პოლიტიკური ძალა ასე არ იქმნება“. თუმცა პოლიტოლოგი იმასაც აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა, რასაც მიხეილ სააკაშვილი მაქსიმალურად იყენებს თავის სასარგებლოდ, პოლიტიკური კარიერისათვის. „მართალია, იგი პრეზიდენტი ჯერჯერობით ვერ გახდება, მაგრამ თავის ადგილს მაინც მოძებნის. რაც შეეხება იულია ტიმოშენკოს, იგი წაგებული დარჩება, თუ მიხეილ სააკაშვილის ჩრდილქვეშ ყოფნას გააგრძელებს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ იულია რეიტინგული პოლიტიკოსია, იგი მიხეილ სააკაშვილის კონკურენტიც შეიძლება გახდეს: ორივე ლიდერობას ცდილობს. ყველაზე გასაკვირი „საზღვრის გარღვევის“ საქმეში ის იყო, რომ მასში მონაწილეობა ოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა მიიღეს, რომლებიც უკრაინის სახელმწიფოებრიობაზე, პატრიოტობაზე და ევროპულობაზე გაჰყვირიან. მიხეილ სააკაშვილისგან ეს გასაგებია, მაგრამ სხვებისთვის შეუფერებელი. ამ სიტუაციამ გრანდიოზულ პროვოკაციამდე და უკრაინის საერთაშორისო ავტორიტეტის დამცირებამდე მიგვიყვანა. არ მესმის, როგორ შეიძლება ლვოვის მერი ანდრეი სადოვოი მიხეილ სააკაშვილს, როგორც გმირს, ისე შეხვდეს — ექსგუბერნატორმა ხომ დანაშაული ჩაიდინა! ისტორია რომ გავიხსენოთ, 1917-1920 წლებშიც ასე მოხდა, როცა უკრაინის სახელმწიფოებრიობა დაემხო: სწორედ „პატრიოტებმა“ მოახდინეს სიტუაციის დესტაბილიზება, დაამხეს ჯერ ცენტრალური რადის, შემდეგ პავლო სკოროპადსკის, ბოლოს კი დირექტორიის მთავრობა, საბოლოოდ კი ბოლშევიკები მიიღეს.**

ყოველ პოლიტიკოსს, რომელიც დღეს მიხეილ სააკაშვილის გვერდით დადგება, უნდა ესმოდეს, რომ იგი პოლიტიკური პროვოკატორის კამპანიაში იქნება. სწორედ ასეთ როლს ასრულებს დღეს მიხეილ სააკაშვილი. მის მოქმედებას უკრაინაში კატასტროფის გამოწვევა შეუძლია“, — ასკვნის სერგეი გაიდაი.

„BBC“ (დიდი ბრიტანეთი)

მასალები მოგვაწოდა საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესმა“

◎ ჩინეთი – საქართველო

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აფართოებს სამეცნიერო ურთიერთობებს ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან

2017 წლის 6 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვუ კონგმინგი, ამავე აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, პროფესორი, ქალბატონი ჩანგ ჰუიჯი და ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, FAO-ს კოორდინატორი ჩინეთში, ბატონი ლიუ შონგვეი. ვიზიტის მიზანი იყო თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის. აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოსმდივნები, აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, რ. მახარობლიძე, ჯ. გუგუშვილი და ნ. ბაღათურია, აკადემიკოსები ე. შაფაქიძე, ნ. ჩხარტიშვილი, თ. ყურაშვილი, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, სწავლული მდივნები, დოქტორები მ. ბარვენაშვილი და რ. ლოლიშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები გ. მოსაშვილი, ც. თეგეთაშვილი და მ. მოსაშვილი.

მემორანდუმზე ხელმოწერის დროს

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ. აღინიშნა, რომ ჩინეთის სმმ აკადემიასთან საქართველოს სმმ აკადემიას ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი აქვს 2009 წლიდან, მაგრამ სოფლის მეურნეობის მართვის თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ და მსოფლიოში რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებამ, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანამედროვე რელსებზე გადაყვანამ მიზანშეწონილი გახადა ახალი ხელშეკრულების გაფორმება. ახალი მემორანდუმით გათვალისწინებულია ერთობლივი ლაბორატორიების ჩამოყალიბება დარგების მიხედვით, სადაც ძირითადად წარიმართება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მხარეებისათვის საინტერესო მიმართულებებში, როგორიცაა: მარცვლეული და საკვები პროდუქტების წარმოება; ხილის და ბოსტნეულის პროდუქცია; მევენახეობა და მეღვინეობა; მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, ვეტერინარია; მცენარეთა მრავალფეროვნება და მათი გაუმჯობესება; სურსათის ხარისხის სტანდარტი და მისი ტესტირება (გამოცდა).

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვუ კონგმინგი მიესალმა ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას და აღნიშნა, რომ მემორანდუმი იქნება საფუძველი, რათა საქართველო გაერთიანდეს გაეროს მიერ განხორციელებულ „სამხრეთის სარტყელის“ პროგრამებში, რომელსაც ამჟამად ჩინეთი ხელმძღვანელობს. აღინიშნა აგრეთვე, რომ „სამხრეთის სარტყელის“ პროგრამების განხორციელებაში საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება აგრარული მიმართულებების სამეცნიერო პოტენციალის მდიდარი გამოცდილების გამო.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვუ კონგმინგმა ხელი მოაწერეს ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ძალაში დარჩება 5 წლის განმავლობაში.

დავით ნარმანია აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

თბილისის მერი დავით ნარმანია აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ბამბანგ სუსანტონოს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი თბილისში აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტებს შეეხო. კერძოდ მიმოიხილეს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც თბილისის მეტროს მოდერნიზაცია მიმდინარეობს. ასევე თბილისის მერის განცხადებით, სწორედ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებითა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით აშენდა ახალი მეტროსადგური.

შეხვედრაზე ყურადღება ასევე გამახვილდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმზე, რომელიც თბილისში ADB-ის მხარდაჭერით იმართება.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით აზიის განვითარების ბანკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია.

საიდენტიფიკაციო სამაჯურები უფასოდ

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გუშინ შვილთან – მერი კაკულიასთან ერთად თბილისში „გაგუას კლინიკას“ ეწვია და ჩვილებს ახალშობილის სამაჯურები გადასცა.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მხარს უჭერს პარტნიორ სახელმწიფო დაწესებულებებს, საიდანაც ახალშობილის დაბადების რეგისტრაციის შესახებ იღებს ცნობებს და სამშობიაროებს უფასოდ გადასცემს ახალშობილთა საიდენტიფიკაციო სამაჯურებს.



შედეგად: საქართველოს ყველა რეგიონში რეგისტრირებული ყველა სამედიცინო დაწესებულება ევროპული ხარისხის, ერთნაირი ფორმის, დახვეწილი დიზაინის სამაჯურებით მომარაგდება.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სამაჯურების სრული მარაგი, ტენდერის გზით, ევროპული კომპანია PDC Healthcare-სგან მიიღო. PDC ჯანდაცვის სფეროში გლობალური ლიდერია, სხვა მრავალ სამედიცინო პროდუქტებთან ერთად, კომპანია უზრუნველყოფს ახალშობილების უსაფრთხო, ანტიალერგიული, მაღალტექნოლოგიური საიდენტიფიკაციო სამაჯურების დამზადებას. კომპანიას 60 წელზე მეტი გამოცდილება აქვს ამ კუთხით და პროდუქტს აწარმოებს მსოფლიოს ინოვაციური საიდენტიფიკაციო სისტემების მეშვეობით. აღნიშნული სამაჯურების სრული რაოდენობა 29 600 ლარი დაჯდა, ერთეული სამაჯურის ღირებულება 37 თეთრით განისაზღვრა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ხარისხის სამსახურის სტატისტიკით, საქართველოში წელიწადში 60 000-მდე ახალშობილი იბადება. აღნიშნული სამაჯურებით მოხდება ახალბედა მშობლების ინფორმირება დაბადების მარეგისტრირებელი სახელმწიფო უწყების თაობაზე. აღსანიშნავია, ის, რომ საიდენტიფიკაციო სამაჯურებზე დატანილია წარწერა: „დაბადება რეგისტრირდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მშობლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახავენ შვილის პირველ სამაჯურს და ხშირად მას თვალსაჩინო ადგილზე განათავსებენ ხოლმე; სწორედ ამიტომ დაბადების მარეგისტრირებელი სახელმწიფო სტრუქტურა დედებსა და პატარა მოქალაქეებს მაღალი ხარისხის საინდეტიფიკაციო სამაჯურებით დაასაჩუქრებს.

აღსანიშნავია, რომ 17 000-მდე სამაჯური უკვე დარიგებულია საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სამშობიარო სახლებში, მათ შორის: ბათუმის, ქობულეთის, ზუგდიდის, მარტვილის, ხობის, ფოთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, სენაკის, თბილისის სამშობიარო სახლ „იმედის“ კლინიკაში და თელავის სამშობიარო სახლებში.

ახალი მარკეტინგული კომპანიები ტურიზმის განვითარებისთვის

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით კახეთისა და იმერეთის რეგიონების ტურისტული ცნობადობის ამაღლების მიზნით მარკეტინგულ სრტატეგიაზე მუშაობა დაიწყება. ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ადმინისტრაციისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ კახეთის და იმერეთის რეგიონების ახალი მარკეტინგული სტრატეგია და საიმიჯო ვებგვერდები მომზადდება. ახალ სტრატეგიაზე საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად კახეთის და იმერეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც მუშაობენ. პროექტის მიხედვით რეგიონების ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული კამპანია მიზნობრივ ქვეყნებში გაიმართება. პროექტი საჯარო და კერძო სექტორს გააერთიანებს და ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებას.

პროექტის დეტალები ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა განიხილეს. პროექტის მონაწილე ექსპერტის იანეს სირსეს განცხადებით, პროექტის მიზანია საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე იმერეთის და კახეთის რეგიონების ცნობადობის ამაღლება.

დავით ოქიტაშვილმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა

ოქიტაშვილის თქმით, სარჩელი იმ დარღვევების შესახებ შეიტანა, რაც დღეს პროფკავშირებში არსებობს.

„ირაკლი პეტრიაშვილი ემზადება ტოტალური გაყალბებისთვის, მაგრამ ჩვენ ყრილობის გაყალბების უფლებას არ მივცემთ. მე ვფიქრობ, რომ სასამართლო მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც ქართველი ხალხი ელოდება“, – განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

მისი ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით დაირღვა ყრილობის მოწვევის წესი და სარჩელი მოწვევის წესთან დაკავშირებით შეიტანეს.

„ის, რაც პროფკავშირებში ხდება, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გასულია სამართლებრივი სივრციდან. უკანონოდ არის რეგისტრირებული წესდება. ამის შემდეგ პროფკავშირებს მიღებული აქვს უამრავი განკარგულებები, დებულებები, რომლებიც ასევე გასულია სამართლებრივი სივრციდან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე ჩვენთვის, ყრილობის მოწვევის წესია დარღვეული. ამ ყრილობის მოწვევის წესთან დაკავშირებით შევიტანეთ სარჩელი. გვინდა, რომ საქართველოს პროფკავშირების ყრილობა მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოებში“, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

თანამედროვე „სიბრძნე სიკრაყისა"

ჯუმბერ სარდლიშვილი

გულის ჭია

ვაცს ისე უნდოდა ცაში ფრენა, რომ ფეხდაუკარებელ მწვერვალზე ასვლა შეძლო, ამაყად გადახედა სივრცეს, ხელებგაშლილმა ისკუპა და აღტაცებული შეძახილებით გაფრინდა. არწივი წამოეწია და გაკვირვებულმა ჰკითხა, რა გიხარია, დაბლა მიწაა, დაენარცხები და სული გაგძვრებაო.

განა ბოლოს სიკვდილი არ არის, მაგრამ ყველას რაღაც უხარია... ცაში ფრენა მინდოდა და სანამ მოვკვდები, გულის ჭიას ვახარებო, მიუგო კაცმა.

ფასი

ვეთილი კაცი ბოროტ კაცს შეხვდა და უსაყვედურა, შენგან ატირებული ადამიანებით გაივსო დედამიწა, არ სჯობია, ჩემსავით სიკეთე აკეთო და ფასი დაგედებაო.

მე რომ ბოროტება არ ვაკეთო, ფასი შენც არ გექნებაო, მიუგო ბოროტმა და თავისი გზით წავიდა.

გამოხედვა

ვაცის დანახვაზე მგელი შეშინებული გაიქცა. მელამ ჰკითხა, თოფი იმას არ უჭირავს და — ნაჯახი, ეგრერამ შეგაშინაო.

— ისეთი გამოხედვა აქვს, გულს ჟაკანივით ხეთქავს. — მიუგო მგელმა.

თანასწორობა

საროსკიპოში შესული კაცები ყველაზე მეტ ფულს ერთ ქალში იხდიდნენ. დანარჩენი ქალები ჯერ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ყველანი თანასწორები ვართ, ერთნაირად უნდა გვაფასებდნენო, და სიტყვით რომ ვერაფერს გახდნენ, ძვირად ღირებულ ქალს სცემეს და დაასისხლიანეს. ქალი დანარჩენი ქალებისგან იმდენად გამორჩეული იყო, ნაცემსა და დასისხლიანებულშიც მეტს იხდიდნენ.

როდესაც ქალები მეორედ მიუცვივდნენ, ქალმა სხეული გაიშიშვლა და უთხრა, ამ მშვენიერებაში ფულს მე კი არა, კაცები იხდიან, თუ გინდათ, ერთი ფასი გვქონდეს, კაცებს თვალები დათხარეთო.

ქონებას სჯობდა

ოჯახის უფროსი თხოვნით იმდენჯერ მივიდა ღმერთთან, რომ უარი ვერ უთხრა და გაამდიდრა. მალე ოჯახის წევრებმა მიაკითხეს უფალს და სთხოვეს, ღმერთო, რაც ჩვენი ოჯახის უფროსს მიეცი, უკანვე წაართვიო.

რატომო, ჰკითხა ღმერთმა.

ის კაცი დავკარგეთ, რომელიც მაგ ქონებას სჯობდაო, მიუგეს ოჯახის წევრებმა.

რაც გულში აქვს

ვაცი ცრემლმორეული ტალახს იწმენდდა. გამვლელმა ჰკითხა, რა დაგემართა, რა დღეში ხარო.

— ადამიანს პატივისცემით ვეპყრობი, ის კი მუდმივად ტალახში მსვრის, — უპასუხა კაცმა.

ის, ვინც პატივისცემის ღირსი არ არის, იმას ისვრის, რაც გულში აქვსო, უთხრა გამვლელმა.

ჩემი ფული

ერთი კაცი გამდიდრდა. სხვისი დაპურება და ხელის გამართვა სიამოვნებდა. მსესხებელიც მოუმრავლდა; ზოგი ავადმყოფისთვის სთხოვდა ფულს და ზოგი — კარგადმყოფისთვის, ისიც ხელცარიელს არავის უშვებდა.

გავიდა დრო. თავისი ფული დასჭირდა. მოვალეები შემოიარა, მაგრამ ვალი ვერ დაიბრუნა. დათქმულ დროზე მოვალეებს მეორედ მიაკითხა, მესამედ, მეოთხედ, და დაინახა, რომ მისი დანახვა არ სიამოვნებდათ. კაცს თვალებზე ცრემლი მოადგა. მეუღლემ დაამშვიდა, იმაზე იფიქრე, შენმა ფულმა სხვას რამდენი სიკეთე მოუტანა და გულზე მოგეშვებაო.

— მე ის უფრო მაწუხებს, რომ ჩემმა ფულმა ჩემი თავი სხვას შეაძულა, — მიუგო ქმარმა.

კურდღელი

ურდღელმა ლომს წიხლი ამოარტყა. ლომს გაუკვირდა, ვისი იმედი გაქვსო, ჰკითხა.

შენიო, მიუგო აკანკალებულმა კურდღელმა; თუ წიხლს არ ამოგარტყამდი, ის მომკლავდა, ვინც წამაქეზა, ახლა შენი იმედიღა მაქვსო.

უდროოდ ყივილი

მამალს ყივილით ხმა ჩაეხლიჩა. დაინახა, რომ ყივილზე არ თენდებოდა და გაუკვირდა. ბოლოს ხმა ჩაუწყდა და მომაკვდავივით ხრიალებდა. ცოლმა ჰკითხა, რა არის, რა დაგემართაო.

— რაღა რა დამემართა, ჩემს ყივილზე აღარ თენდება. — დაიჩივლა მამალმა.

— დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე იმიტომ შეგექმნა, რომ დაგავიწყდა, როდის იყივლო. — მიუგო ცოლმა და დასაძინებლად გვერდი იბრუნა.



თავისუფლება ქალებს

ერთი ქალი ქუჩაში იდგა და გაჰყვიროდა, თავისუფლება ქალებს, თავისუფლება ქალებსო. მოხუცი ქალი მიუახლოვდა და უთხრა, თუ კარგად ამიხსნი, რა გინდა, გვერდით დაგიდგები და მეც ვიყვირებო.

— სხვა კაცთან სექსის გამო ქმარი მცემს. — ატირდა ქალი.

— ქმართან ქორწინებაზე შენ მოაწერე ხელი?

— რა თქმა უნდა....

— ქორწინება ისეთი ნებაყოფლობითი აქტია, რომლის დროსაც კაცი და ქალი თავიანთ თავებს შეზღუდვებს უწესებენ. მთავარი შეზღუდვა კი ერთგულებაა.

— სწორედ შეზღუდვებისგან თავისუფლებას ვითხოვ. — მიუგო ქალმა.

— მაშინ ქუჩაში კი არ უნდა იყვირო, სასამართლოში განქორწინება მოითხოვე. — უთხრა მოხუცმა.

— განქორწინება რად მინდა?! — შეიცხადა ქალმა, — ქმარი არ უნდა მცემდეს.

— შენ თავისუფლება კი არა, ქმრის გამოშტერება გნდომებია, — უთხრა მოხუცმა და წავიდა.

ოქროს თევზი

ერთი გაღატაკებული კაცი მდინარის პირას იჯდა და საკუთარ სახლ-კარზე ოცნებობდა. წყლიდან ოქროს თევზმა ამოყო თავი და დაუძახა, მთხოვე, რაც გინდაო.

— შენს დასაჭერად ბადეც არ გამაჩნია, ისე თხოვნას რა აზრი აქვს! — დაუძახა კაცმა.

იმ ოქროს თევზის დედა ვატირე, მეთევზის ბადეში მოუხვედრელად სიკეთის ქმნა რომ არ შეუძლიაო, ამოსძახა ოქროს თევზმა და წყალში ჩაყვინთა.

უცებ განათდა და ღატაკი საკუთარ სახლ-კარში იჯდა.

სულის ტკივილი

ერთი კაცი დანით სხეულზე ღრმა ჭრილობებს იყენებდა და ზედ მარილს იყრიდა. მეზობელმა ჰკითხა, რას შვრები, თავს ეგრეთ ტკივილს რატომ აყენებო.

რა ვქნა, სულის ტკივილს მხოლოდ ეს მიყუჩებსო, უპასუხა კაცმა.

ხოცვა-ჟლეტა

ღმერთმა დედამიწა შექმნა, მიწისაგან გამოძერწილ ადამიანებს ჩააბარა და დაღლილს ჩრდილში მიეძინა. ჩხუბმა და ყვირილმა გამოაღვიძა. ადამიანები ერთმანეთს ხოცავდნენ. ღმერთს გაუკვირდა. რას შვრებითო, შეუძახა.

უფალო, შენი ადგილი ცაშია. დაგვაცადე, ადამიანებმა დედამიწა გავიყოთო, უთხრეს ადამიანებმა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა განაგრძეს.

ქალის პროტესტი

ქალმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყო. ჟურნალისტებმა შიმშილობის მიზეზი ჰკითხეს.

კაცებმა ისტორია გააყალბესო, მიუგო ქალმა.

ჟურნალისტები უფრო დაინტერესდნენ, ჰკითხეს, როგორ გააყალბესო.

— კაცის ნეკნიდან ქალის გამოძერწვა დამამცირებელი, დაუჯერებელი და კაცების მოგონილია. ღმერთმა მიწისგან ქალი შექმნა და ისე მოეწონა, ლოგინში ჩაიწვინა. ქალი დაფეხმძიმდა და ასე გაჩნდა ადამი. კაცი ქალის გაჩენილია, განა ამას ვინმე უარყოფს?....

ასე არ ჯობია?!

ერთი ახალგაზრდა ხალხის უკმაყოფილო იყო; ყველას ედავებოდა, შენიშვნებს აძლევდა, საქმეზე მიუთითებდა. ქვა რომ ეგდო, იმასაც ადგილს მიუჩენდა. ყველაფერი გულთან მიჰქონდა. შეწუხებულმა ხალხმა მშობლებს ურჩიეს, სარდაფში გამოკეტეთ, დაფიქრდება და ჭკუაზე მოვაო. მშობლებიც ასე მოიქცნენ, სარდაფში ჩაიტყუეს და კარი გამოუკეტეს.

ერთი კვირის შემდეგ სარდაფის კარი გააღეს და შვილი გაღიმებული დახვდათ. გაუხარდათ მშობლებს, ჭკუაზე მოსულაო და სარდაფიდან ამოიყვანეს. იმ დღის მერე ახალგაზრდა ცოცხალზეც იცინოდა და მკვდარზეც. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, არ ადარდებდა, ხელებს იქნევდა, მიხტოდა და მოხტოდა.

— ასე არ ჯობია?!.... — უხაროდა ხალხს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №93

ანტიბიოტიკების უსაფრთხო ალტერნატივა შეიქმნა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამის სტარტაპ საქართველოს გამარჯვებულმა Phage Phage Nutraceuticals - მა ანტიბიოტიკების უსაფრთხო ალტერნატივის შექმნა დაიწყო. მიღწევები პროექტის ავტორმა რატი ღოლიჯაშვილმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებს გააცნო.

Phage Phage Nutraceuticals ბიოტექნოლოგიური კომპანიაა, რომელიც ერთი საუკუნის გამოცდილების ხარჯზე, ანტიბიოტიკების უსაფრთხო ალტერნატივის შექმნით, კვლევითა და წარმოებითაა დაკავებული. საწარმოო ლაბორატორია ბიოქიმფარმას ბაზაზეა შექმნილი. პროექტის ავტორი აღნიშნავს, რომ ფაგის პროდუქტებს გააჩნიათ იმ ბაქტერიების (ანტიბიოტიკო-რეზისტენტული ბაქტერიების) ეფექტურად განადგურების უნარი, რომელთა დამარცხებაც ანტიბიოტიკებს აღარ შეუძლიათ. კომპანიის პროდუქციის გამოყენების არეალი არ არის შეზღუდული და გამოიყენება შემდეგი მიმართულებებით: მედიცინა, ვეტერინარია, საკვებისა და გარემოს უსაფრთხოება, სოფლის მეურნეობა, საკვები დანამატები, სამომხმარებლო პროდუქტები. კომპანიამ 100 000 ლარის ოდენობით დაფინანსება 2016 წლის ივლისში მიიღო. პროდუქტების ონლაინ გაყიდვა შეერთებულ შტატებშიც იგეგმება.

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის **ცხრილი 1**

#	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. # მობ.# ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ)	მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ–ს გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შპს ტაბა	თბილისი, ტაბახმელა	ცხელი ხაზი 0790–10–04–04, მობ. 577 99 88 99 ელ. ფოსტა info@tabagas.com	1,240,000	საყოფაცხოვრებო მომხმარ. 38.79
2	შპს ტაბა	თბილისი, ტაბახმელა	ცხელი ხაზი 0790–10–04–04, მობ. 577 99 88 99 ელ. ფოსტა info@tabagas.com	60,000	არასაყოფაცხოვრებო მომხმარ. 87.29

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერტებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის **ცხრილი 1**

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შ.პ.ს. 'არზუ-გაზი'	გარდაბანი სოფ. ვახტანგისი	599 16 03 56	საყოფაცხოვრებო -425000 კუბ.მ. არასაყოფაცხოვრებო - 25000 კუბ,მ,	საყოფაცხოვრებო -26,382 თეთრი არასაყოფაცხოვრებო -84,491 თეთრი

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

ღვინის საწარმოები შეუფერხებლად გადაამუშავებენ სეტყვისგან დაზიანებულ ყურძენს

კახეთის რეგიონში არსებული ღვინის კომპანიები მზად არიან, მოსახლეობისგან შეუფერხებლად მიიღონ და გადაამუშაონ სეტყვისგან დაზიანებული ყურძენი. ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, რთველი-2017-ის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა გიორგი სამანიშვილმა განაცხადა.

„სეტყვამ კახეთის რეგიონში მნიშვნელოვნად დააზიანა სხვადასხვა სოფლის ვენახები. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ღვინის საწარმოები მზად არის მევენახეებისგან მიიღოს და გადაამუშაოს სეტყვისგან დაზიანებული ყურძენი. რთველის პროცესი გრძელდება შეუფერხებლად და მთლიანობაში 77 ღვინის საწარმო უკვე ჩართულია ყურძნის გადამუშავების პროცესში“ - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

11 სექტემბერს საღამოს მოსულმა სეტყვამ სხვადასხვა ხარისხით დააზიანა თელავის მუნიციპალიტეტის სოფლები კურდღელაური, კონდოლი, ნასამხრალი, შალაური, ყვარელში — მთისძირი, ლაგოდეხში სოფლები არეშფერონი, ვარდისუბანი, ბაისუბანი, ცოდნისკარი, გიორგეთი, ასევე ქალაქ ახმეტის კუთვნილი ვენახები.

12 სექტემბრის 11.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 21,7 ათასი ტონა ყურძენი. მევენახეებმა ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლების სახით უკვე 21,7 მლნ ლარი მიიღეს.

ყურძნის დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 3,1 ათას ტონას მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთის რეგიონში აქტიურ ფაზაშია. ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 142 ღვინის კომპანია. მთლიანი გადამუშავებული ყურძნიდან 8,4 ათასი ტონა რქაწითელი, 10,8 ათასი ტონა საფერავი, 961 ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

პატიმრები მინანქრისა და კერამიკის სახელოსნოებში იმუშავებენ

დაწესებულებაში სახელოსნოებისთვის სპეციალური სივრცეები მოეწყო, რომელიც საჭირო ინვენტარით აღიჭურვა.

№15 პენიტენციურ დაწესებულებაში ღონისძიებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის უფროსი ლეილა აფციაური, ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ხელმძღვანელი გერჰარდ შაუმბერგერი, Hilfswerk Austria International-ის რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში ნიკოლ მარია ბაუერი ესწრებოდნენ.

სახელოსნოებში მსჯავრდებულები ახალ პროფესიას დაეუფლებიან, შეისწავლიან მინანქრისა და კერამიკის დამუშავებას. დაწესებულებაში შეძენილი პროფესიული უნარ-ჩვევები მათ საზოგადოებაში სწრაფ რეინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

კერამიკის შემსწავლელ კურსებში №14 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებიც ჩაერთვებიან, რისთვისაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყო.

მინანქრის სახელოსნო №15 პენიტენციურ დაწესებულებაში, საერთაშორისო ორგანიზაცია „Hilfswerk Austria International“ და მისი ქართულ პარტნიორ ქალთა ასოციაცია „თანხმობას“ ხელშეწყობით შეიქმნა. კერამიკის სახელოსნოს მოწყობასა და მსჯავრდებულებისთვის კერამიკის შემსწავლელი კურსების ჩატარებას არასამთავრობო ორგანიზაციები „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვისა“ და სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ უზრუნველყოფს.

სს „ელმავალმშენებელი“ 2017 წლის 13 სექტემბრიდან აცხადებს ინტერესთა გამოხატვას მის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ

ლოტი №1

<u>ობიექტი:</u>
ახალი საქვაბე.
საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.169 (068)
ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84

<u>ნომენკლატურა:</u>
დემონტაჟი

<u>სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) - 7 900
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) - 18 000
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) - 18 000
- შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) - 560
- შენობა ნაგებობის სიმაღლე (მ) - 14

შენობა აშენებულია 1982 წელს. წარმოადგენს კარკასული ტიპის ნაგებობას, აშენებულია რკ.ბეტონის სვეტებით, ფერმებით, კედლისა და გადახურვის ფილებით. ფართის ნაწილზე ჩამონტაჟებულია ანტრესოლები ლითონის კონსტრუქციებითა და გაძლიერებული გადახურვის ფილებით.

ლოტი №2

<u>ობიექტი:</u>
ძველი საქვაბე.
საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.169 (067)
ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84

<u>ნომენკლატურა:</u>
დემონტაჟი

<u>სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) - 10 568
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) - 10 568
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) - 10 568
- შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) - 1 216
- შენობა ნაგებობის სიმაღლე (მ) - 9,6

შენობა აშენებულია 1960 წელს. წარმოადგენს ნახევრად კარკასული ტიპის ნაგებობას. კედლები აშენებულია წითელი აგურით. გადახურვა მონოლითური რკ.ბეტონის. გამოყენებულია რკ.ბეტონის სვეტები და ლითონის ფერმები.

ლოტი №3

<u>ობიექტი:</u>
სამრეცხაო.
საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.169 (033)
ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84

<u>ნომენკლატურა:</u>
დემონტაჟი

<u>სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) - 2 705
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) - 2 705
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) - 0,00
- შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) - 731
- შენობა ნაგებობის სიმაღლე (მ) - 7,40

შენობა აშენებულია 1966 წელს. ფუნქციონირებდა როგორც სამრეცხაო. წარმოადგენს ლენტური ტიპის საძირკველის მქონე აგურის შენობას, რომელიც გადახურულია რკ.ბეტონის ფილებით. შენობის ნახევარ ფართობზე დაშენებულია მე-2 სართული. შენობა ათეული წლების განმავლობაში აღარ ფუნქციონირებს.

ლოტი №4

<u>ობიექტი:</u>
№10 კორპუსის ნაწილი.
საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.169 (107)
ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84

<u>ნომენკლატურა:</u>
დემონტაჟი

<u>სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) - 19 780
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) - 18 000
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) - 2 000
- შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) - 2 472
- შენობა ნაგებობის სიმაღლე (მ) - 8

შენობა აშენებულია 1962 წელს. წარმოადგენს ნახევრად კარკასული ტიპის ნაგებობას. კედლები აშენებულია წითელი აგურით. გადახურვა მონოლითური რკ.ბეტონის. გამოყენებულია რკ.ბეტონის სვეტები და ლითონის ფერმები. შენობის სახურავისა და კედლის ნაწილი ჩამონგრეულია.

ლოტი №5

<u>ობიექტი:</u>
თბომავლების დეპო.
საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.169 (038)
ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84

<u>ნომენკლატურა:</u>
დემონტაჟი

<u>სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) - 6 530
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) - 6 530
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) - 0,00
- შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) - 907
- შენობა ნაგებობის სიმაღლე (მ) - 7,20

შენობა აშენებულია 1962 წელს. აშენებულია ტუფის ქვითა და წითელი აგურით, გადახურულია მონოლითური რკ.ბეტონით.

<u>წინადადებების მიღების ბოლო ვადა:</u> 20 სექტემბერი 12:00 საათი.

<u>წინადადებების მიღების ადგილი:</u> დ.გურამიშვილის გამზირი №84, ადმინისტრაციული შენობის ოთახი №216.

<u>კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია:</u> ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის დახასიათება და სამუშაო გამოცდილება, სამუშაოების შესრულების ვადა.

<u>განსაკუთრებული პირობა:</u>
- პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავისი წინადადებები დალუქულ კონვერტებში;
- წარმოდგენილ წინადადებებში ვალდებულნი არიან ლოტებზე №1 და №4 გამიჯნონ შენობის და მეტალოკონსტრუქციების ფასი;
- ლოტებზე №1 და №4 წარმოადგინონ 1 ტონა მეტალოკონსტრუქციის შესყიდვის ფასი;
- დემონტაჟის ადგილი უნდა შემოიღობოს დროებითი შემოღობვით.

<u>კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია:</u>
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის საჭირო ტექნიკისა და მუშა ხელის დაქირავება;
- გვერდითა შენობების დაუზიანებლად, განახორციელოს შენობა-ნაგებობის დემონტაჟი 0.00 ნიშნულის ზემოთ;
- დემონტაჟის დროს არ დაზიანოს შენობა-ნაგებობაში მდებარე დაზგა-დანადგარები;
- დემონტაჟის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს საზოგადოების ტერიტორიიდან არსებული ნარჩენების გატანა და ტერიტორიის დასუფთავება;
- შენობა-ნაგებობის დემონტაჟისას დაიკისროს უსაფრთხოების წესების და პირობების სრული დაცვა და პასუხისმგებლობა;
- ყველა სხვა კონკრეტული პირობები გაიწერება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

<u>შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:</u>
- შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერესთა გამოხატვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება დამოუკიდებელი ან/და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე შემსყიდველის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:</u>
ტელ. 5 99 79 11 32, 5 77 003 707

„ოქროც“, ქულებიც

2020 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში კარატისტი (WKF) ვაჟები პირველად სამ წონით კატეგორიაში იასპარეზებენ. თითოეულ წონაში 10-10 სპორტსმენი იბრძოლებს მედლებისთვის. ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას მხოლოდ მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ათეულის წევრები შეძლებენ. ამ სარეიტინგო მარათონში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გოგიტა არქანია ამჟამად 1100 ქულით მეორე ადგილზეა. მას ირანელი საჯად საჯზადენი (2225) უსწრებს. 1075 ქულით ანჯელო კვესიჩი (ხორვატეთი) მესამე ადგილზეა.

არქანიამ სარეიტინგო ქულები გერმანიის ქალაქ ლაიფციგში გამართულ კარატისტთა პრემიერლიგაზე გაიმდიდრა: მძიმე წონაში (+84 კგ) მან პირველი ადგილი დაიკავა: ტატამზე ზედიზედ მოუგო ნილსონ ჯაკუესა (საფრანგეთი, 2:0) და ჰადი არაბის (ირანი, 2:0), მერე ორი პაექრობა სიმონე მარინოსა (იტალია, 0:0) და მეჰდი ფილალისთან (საფრანგეთი, 2:2) ფრედ დაასრულა, მაგრამ მსაჯების გადაწყვეტილებით ორივე შეხვედრაში გამარჯვება ქართველს მიეკუთვნა. ნახევარფინალში არქანიამ ფრანგ ლონი ბოულენს სძლია — 2:1, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში გერმანიის ნაკრების კაპიტანი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ჯონათან ჰორნე დაამარცხა (1:0). ვერცხლის მედალი ჰორნეს ხვდა, ხოლო მეჰდი ფილალიმ (საფრანგეთი) და დანიილ გაისინსკიმ (კანადა) მესამე ადგილები დაიკავეს.

მარცხნიდან — ჯონათან ჰორნე, გოგიტა არქანია, დანიილ გაისინსკი, მეჰდი ფილალი

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ჯობავა — სრული სვლით!

საქართველოს მოჭადრაკეთა ეროვნული ნაკრების ლიდერი ბაადურ ჯობავა თბილისში მიმდინარე მსოფლიო თასზე გამოსვლას წარმატებით განაგრძობს. ქართველ ქომაგთა სასიხარულოდ, ჯობავამ დამატებით ტაი ბრეიქში რუსი დიდოსტატი იან ნეპომნიაშჩი დაამარცხა და მერვედფინალის საგზური მოიპოვა. თბილისელი დიდოსტატი პლანეტის 16 საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოხვდა და პირველად იასპარეზებს მსოფლიო თასის მერვედფინალში. აქამდე მისი საუკეთესო შედეგი მესამე წრეში თამაში იყო. მეოთხე წრეში მისი მეტოქე მსოფლიოს საჭადრაკო რეიტინგ-სიის მეშვიდე ნომერი, აშშ-ს სახელით მოასპარეზე, წარმოშობით ფილიპინელი უესლი სო იქნება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ამერიდან — „ნიუ ორლეანში“

35 წლის უკანასკნელი ტონი ალენი კარიერას „ნიუ ორლეან პელიკანსში“ გააგრძელებს. აღნიშნულ ინფორმაციას Yahoo ავრცელებს. წყაროს ცნობით, იგი ლუიზიანელებთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ტონი 2004-2010 წლებში „ბოსტონის“ ღირსებას იცავდა, სადაც 2008 წელს ნბა-ს ჩემპიონი გახდა, ხოლო 2010-2017 წლებში ის „მემფისში“ თამაშობდა.

განვლილ სეზონში ალენი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 9.1 ქულას, 5.5 მოხსნას და 1.4 პასს აგროვებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

გაისად — იაპონია

თბილისმა და ქუთაისმა, როგორც ცნობილია, ესტაფეტა არგენტინულ როსარიოს გადასცეს და გაისად მაის-ივნისში მორაგბეთა მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი ამ საფეხბურთო ტრადიციებით მდიდარ ქალაქში გაიმართება.

ალბათ, ყველას ახსოვს, რომ ჩემპიონი ახალი ზელანდიის 20-წლამდელთა ბრწყინვალე გუნდი გახდა — ფინალში ინგლისელ თანატოლებს აჯობა, უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ არგენტინის ნაკრებს მოუგეს და ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს, ხოლო სამოელები ერთი დონით დაქვეითდნენ და მომავალ წელს თანატოლთა მსოფლიო ალაფისთვის იბრძოლებენ.

რატომ გაგვახსენდა ყოველივე? იმიტომ, რომ გუშინ ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ალაფის წლევანდელი გათამაშება დასრულდა. და იგი იაპონელთა ტრიუმფით დაგვირგვინდა, არადა, შეჯიბრების დაწყებამდე სპეციალისტები მთავარ ფავორიტად ფიჯის ახალგაზრდულ ნაკრებს ასახელებდნენ.

ფიჯელებმა ჩემპიონატი, პირდაპირ ვთქვათ, ჩააგდეს — ჯგუფში მასპინძელ ურუგვაისთან და მომავალ ფინალისტ პორტუგალიასთან დამარცხდნენ და მხოლოდ აშკარად სუსტ ჰონკონგს მოუგეს, საბოლოოდ კი მე-5 ადგილისთვის მატჩიც დათმეს — ჩილესთან 13:15.

ხსენებულმა ჰონკონგმა ჯგუფის ყველა მატჩი წააგო, ამ დონეზე დარჩენისთვის კანადას დაუპირისპირდა და 0:38 დამარცხდა.

მე-3 ადგილისთვის ერთმანეთს მასპინძლები და ნამიბიელები შეხვდნენ და ურუგვაის 20-წლამდელთა ნაკრებმა „ბრინჯაო“ დამაჯერებლად მოიპოვა — 34:13.

მთავარი მატჩი კი, რომელშიც იაპონელთა და პორტუგალიელთა ჯახი შედგა, აზიელთა უპირატეს ობით მიმდინარეობდა. უმცროსი „საკურას ყვავილები“ 14:3 იგებდნენ, როცა რეფერიმ თამაში ვადაზე ადრე შეწყვიტა. მონტევიდეოში გადაუღებლად და კოკისპირულად წვიმდა, სტადიონის სათამაშო მოედანი თანდათან დიდ გუბეს დაემსგავსა, რის შემხედვარე მსაჯმა მხარეთა თანხმობა მიიღო და თამაში 10 წუთით ადრე დაასრულა, რადგან ასეთ კლიმატურ პირობებში თამაში მორაგბეთა ჯანმრთელობისთვის ძალზე სარისკო გახდა. მოკლედ, 14:3 დაფიქსირდა და იაპონიის 20-წლამდელთა ნაკრები გაისად როსარიოში უმცროს „ბორჯღალოსნთა“ ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იქნება.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ბენზემა „რეალში“ რჩება

მადრიდის „რეალის“ ფრანგი თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა კლუბთან ახალ შეთანხმებას მოაწერს ხელს. France Football-ის ინფორმაციით, მხარეები შეთანხმდნენ და მიმდინარე ხელშეკრულებას კვირის ბოლომდე განაახლებენ.

წყაროს ცნობით, 29 წლის ფეხბურთელი კონტრაქტს 2021 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივებს. ხელფასი იგივე დარჩება — წელიწადში 8 მილიონი ევრო, თუმცა, ბენზემას გამოსყიდვის უფლება სხვა კლუბებს მილიარდ ევროდ შეეძლებათ.

შეგახსენებთ, რომ ქარიმ ბენზემა „სამეფო კლუბში“ 2009 წლიდან მოყოლებული თამაშობს და დღემდე 371 მატჩში 182 გოლი გაიტანა.

ფრანგმა თავდამსხმელმა „ლევანტესთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და როგორც მედიკოსები ვარაუდობენ, მას თვენახევარზე მეტი გაუცდება.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სიტყვის ქალი

ნეტა ბევრი კაცი ასრულებდეს მიცემულ სიტყვას ისეთი დიდი რუდუნებითა და მონდომებით, როგორც თავის პირობას, ლეგენდარული ალესანდრო დელ პიეროს მეუღლე, ყოფილი მოდელი სონია ამორუზო. სონიამ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, ალესანდროს ნაცვლად მე დავწერ მის ავტობიოგრაფიულ წიგნსო და აი უკვე დაიწყო კიდეც კრებულზე მუშაობა.

დელ პიეროს მეუღლის თქმით, მართალია მისი ძირითადი ხელობა ყოველთვის მოდელობა იყო, მაგრამ წერა მუდამ იტაცებდა და ცხოვრების ყველა ეტაპზე საწერი კალმითა და რვეულით შეიარაღებული პირად დღიურებს აწარმოებდა და როგორც ნაცნობები ეუბნებოდნენ, ეს საქმე არც ისე ცუდად გამოსდიოდა.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იცით, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მთელს მსოფლიოში ვეტერან ფეხბურთელთა ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები ძალიან შემოვიდა მოდაში და, რაც მთავარია, ამ წიგნებს არც მკითხველი აკლია, დელ პიერო კი ნამდვილად გახლდათ ის ფიგურა, ვისი ცხოვრების დეტალებითაც ქომაგი უნდა დაინტერესდეს...

როსტომ რაჭველიშვილი

სულთათანა

ჯარისკაცის თავსაფრიანი ქვრივი

გარდაიცვალა საუკუნეს მიტანებული ამაგდარი ქალბატონი, ქალი, რომელიც ყველასთვის და ყველაფერში სამაგალითო იყო, როგორც შვილი მშობლებისთვის, როგორც დედა თავისი ერთადერთი პირმშოსათვის და როგორც განუმეორებელი მეორე ნახევარი თავისი მეუღლისთვის. მან ამქვეყნიური ცხოვრებიდან გადაინაცვლა საუკუნო ცხოვრებაში. მან დიდი ტკივილიანი ცხოვრება გაიარა... ეს ქალბატონი იყო მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი მედლისა და ორდენის კავალერი, ახალგაზრდა თაობების უბადლო აღმზრდელი და მასწავლებელი — ქეთევან არჩილის ასული ცუცქირიძე.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით კი 50-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ მედიაში ხშირად იბეჭდებიდა წერილები, პუბლიკაციები და ნარკვევები მისი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ: მაგრამ ვერც ერთი ნიჭიერად და ვრცლად დაწერილი წერილი ვერ დაიტევს ქალბატონი ქეთევანის მიერ განვლილი ცხოვრების ამბავს თავისი მღელვარებით, ტკივილით, წუხილით თუ სიხარულით.

მან პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო სრულიად ახალგაზრდა ასაკში,როდესაც გურჯაანის პედაგოგიური ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა, 17 წლის გოგონამ, 1938 წლის 1 სექტემბერს პირველად შეაღო სოფ. მელაანის სკოლის კარი. მალე დაიხვეწა, დახელოვნდა საყვარელ საქმეში. მასთან ერთად აქ ასწავლიდნენ მისი მეგობრები, მომავალში საქვეყნოდ აღიარებული და დაფასებული პედაგოგები: ქ-ნი ნინო გაბიტაშვილი, მარიამ ზარდიაშვილი, ეკატერინე ჯაფოშვილი და სხვანი.

ორი წლის პედაგოგიური მოღვაწეობის თავზე, კერძოდ კი 1940 წელს მის გაკვეთილს დაესწრო გურჯაანის რაიონის სახალხო განათლების უფროსი ჩინოსანი სერგო სხირტლაძე, რომელსაც იმდენად მოეწონა გაკვეთილიც და მასწავლებელიც, რომ არ დააყოვნა და ამ მოკრძალებულ ქალიშვილზე დაქორწინება გადაწყვიტა.

ასე შეიქმნა ერთი ლამაზი ქართული ფუძემკვიდრი ოჯახი. მალევე გაჩნდა პირმშო — ამირანი, ოღონდ მამა ვერ გახდა ამ ბედნიერი წუთის მომსწრე. აი, ბედნიერი ოჯახი — იტყვის მავანი, მაგრამ ნუ ავჩქარდებით, ნუ დაგვავიწყდება დიდი აკაკის სიტყვები: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა!“

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ოჯახის უფროსი, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „სამსახურებრივი ჯავშანი“ იცავდა, ომის პირველსავე დღეებში ლვოვში დაღუპული გამზრდელი ბიძის, პოლკოვნიკ ონისე რეხვიაშვილის „სისხლის ასაღებად“ და, რაღა თქმა უნდა, მისი უძვირფასესი სამშობლოს დასაცავად მიაშურა მოქმედ ფრონტის ხაზს... „ქეთევან, უკვე დიდი ხანია, არ მინახიხარ (15 დღე) და ძალიან მენატრებით...“ — ასე იწყება სერგო სხირტლაძის პირველი ბარათი. მერე ხშირად მოდიოდა სამკუთხა ფრონტული ბარათები: — „მე უკვე ფრონტზე ვარ. წინ მივიწევთ, მტერი ვერას დაგვაკლებს!“ ქერჩიდან კი ასე იწერებოდა: — თავს კარგად ვგრძნობ, შენი სურათი გამომიგზავნე, მალე გერმანელების მიერ ოკუპირებული ფეოდოსია უნდა დავიბრუნოთ... მერე კი შეწყდა ფრონტული წერილები. ომმა დაამსხვრია ერთი წყვილის ბედნიერება, შეაფერხა ერთი ოჯახის წინსვლა, განვითარება.

მაგრამ საქართველოში თავსაფრიან, ანუ ღირსეულ შვილებს, დედებს, მეუღლეებს რა გამოლევს! სწორედ ამგვარ გმირად იქცა „ფრთამოტეხილი“ ქალი — მგლის მუხლი გამოობა, არ დაიჩოქა ავბედითი ხვედრის წინაშე. დაღუპული მეუღლის კერაზე ენთო იმედის ცეცხლი, ქვრივს მხარს უმაგრებდა ოპტიმიზმი და პატარა ამირანის მომავალზე ფიქრი. რაოდენ მძიმე იყო მისთვის, რომ ამ ომში დაიღუპა მისი ძმა ამბროსი ცუცქირიძე, უახლოესი ნათესავები: სოლიკო გვარამაძე, ანტონ გურგენიძე, გრიგოლ ლობჟანიძე და სხვანი, რომელთა მეუღლეებსაც ზოგს ერთი, ზოგს ორი და ზოგსაც სამი შვილი დარჩა უმამოდ გასაზრდელი. ყველა ეს ქალბატონი ქეთევანთან ერთად ჯარისკაცის ქვრივებად „მოინათლნენ“ და ურთიერთთანადგომით ეს მძიმე ხვედრი ერთმანეთს გადაატანინეს.

ასე აღმოჩნდა ახალბედა პედაგოგი ჯარისკაცის ქვრივისა და თავსაფრიანი დედაკაცის როლში. მიუხედავად გაჭირვებისა და სიძნელეებისა, მან წარმატებით დაასრულა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სრული კურსი და თავის სპეციალობაში დაოსტატდა.

დრო გადიოდა... ქეთევანის სახელს კი სიყვარული, პატივისცემა და დიდება ემატებოდა, შრომის შესატყვისად მრავალი მედალი მიაკუთვნეს, რაც საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებამ დააგვირგვინა. მან ყველაფერი გააკეთა, რომ შვილი ღირსეულად აღეზარდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრებინა, ხელი შეუწყო, რათა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ამ საინტერესო მეცნიერებას ღრმად დაუფლებოდა და აკადემიკოსობამდეც ამაღლებულიყო.

დადგა დასვენების ჟამიც. დამსახურებულ პენსიაზე გაცილებისას ყველამ გაიხსენა მისი მიღწევები: ასპროცენტიანი მოსწრება კლასებში, ახალგაზრდა პედაგოგების თანადგომა, საზოგადოებრივ საქმეებში აქტიურობა, სკოლის პარტორგანიზაციის ლიდერად დამკვიდრება და მრავალი სხვ. საოჯახო არქივი ყოვლისმომცველია. უამრავ სურათს შორის — გამოსარჩევია ბებია შვილიშვილებში. რა სიყვარული უდგას თვალებში დიდ ქალბატონს, ჩვენს დედას, დიდედას, ბერდედას, მისმა შრომამ ხომ ესოდენ დიდი ნაყოფი გამოიღო.

დიდებული ქალბატონი, ფოლადივით მტკიცე ქეთევან ცუცქირიძე-სხირტლაძისა გარდაიცვალა. ეს თვე გამოდგა მისი როგორც დაქორწინების, ისე გარდაცვალების თვე. ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ: ქეთევანის ვაჟმა მას შემდგომ, რაც შეიტყო, რომ მისი გმირულად დაღუპული მამის საძვალე-ნეშტი განისვენებდა ქერჩის ძმათა სასაფლაოზე, მოსვენება დაკარგა, არ დააყოვნა, გადმოასვენა საბურთალოს სასაფლაოზე და იმდროისთვის ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე დედას ეს მტკივნეული, იმავდროულად „გასახარი“ ამბავი დიდი სიფრთხილითა და სიმაყით გაუმხილა.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ოთხივე პრეზიდენტი დაახლოებით ასეთი შინაარსის მისალოცებს უგზავნიდა გამარჯვების დღის 9 მაისის აღსანიშნავად: „...გულითადად გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვებას. თქვენ ღირსეული წვლილი შეიტანეთ ამ გამარჯვებაში, დიდი მადლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს გმირობას. გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას თქვენს ოჯახთან და სრულიად საქართველოსთან ერთად“.

...ამიერიდან სულ რამდენიმე თვით ერთად ყოფნით გაბედნიერებული წყვილი, თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად იმქვეყნიურ საუკუნო ცხოვრებაში.

ნათელში იყოს მათი სულები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
თბილისის მერია,
საქართველოს რკინიგზა,
საქართველოს ვეტერანების საძმეთა სახელმწიფო სამსახური

რეკლამა *„საქართველოს რესპუბლიკაში“*
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

გამოსათხოვარი

ნათელა, ნონა, გია როგავები თანაუგრძნობენ ქალბატონ მერის, დათო და ნანა როგავებს მეუღლისა და მამის

გივი როგავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ონკოლოგ-მამოლოგი, აღიარებული ქირურგი, გამორჩეული პიროვნება და უზადო მეგობარი

დავით ღოღობერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკვლელობა თბილისის ცენტრში - ამოღებულია 6 მასრა

თბილისის ცენტრში მომხდარი მკვლელობის დეტალები დგინდება. მოკლულია აზერბაიჯანული წარმოშობის მამაკაცი, რომელიც რუსეთში კრიმინალურ აქტივობებში მონაწილეობის გამო იძებნებოდა. მოკლული მამაკაცი 1975 წელს დაბადებულია, მას აზერბაიჯანული გვარი აქვს. თუმცა, უცნობია, ის საქართველოს მოქალაქეა თუ აზერბაიჯანის. ერთ-ერთი ვერსიით, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს, მოკლული რუსეთში მომხდარ რამდენიმე კრიმინალურ დანაშაულთან იყო დაკავშირებული და ამის გამო იძებნებოდა. გავრცელებული ცნობით, მკვლელობამდე ის რესტორან „პურის სახლში“ უცნობ მამაკაცთან ერთად იმყოფებოდა. თვითმხილველები ყვებიან, რომ რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ გაისმა ორმხრივი სროლის ხმა. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილს ერთი ტყვია თავში აქვს ნასროლი. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები. სავარაუდოდ, ამოღებულია 6 მასრა. რესტორნის თანამშრომლები მომხდარის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ. დაიკითხნენ თვითმხილველები და რესტორნის თანამშრომლები. სამართალდამცველებს ჯერჯერობით არავინ დაუკავებიათ. მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს.

გამოვლენილია ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 22 ფაქტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2017 წლის 8-11 სექტემბერს ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 22 ფაქტი გამოავლინეს.

დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლინდა ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ექვსი ფაქტი, დასავლეთის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით — ხუთი ფაქტი, კახეთის რეგიონული სამმართველოს შემთხვევაში ასევე — ხუთი, ხოლო აჭარის, ქვემო ქართლისა და აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოების ტერიტორიაზე — ორ-ორი ფაქტი.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 38 $მ^3$ პირველადი გადამუშავების პროდუქტი — ფიცარი, 77 $მ^3$ წიფლის, რცხილას, მუხისა და წიწვოვანი სახეობის მრგვალი ხე-ტყე (მორი) და საშეშე მერქანი.

ამავე პერიოდში, ამოღებულია და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოშია გადატანილი 2 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარი.

მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის უწყებებშია გადაგზავნილი.

მაშველებმა მყინვარწვერზე მყოფ ტურისტს დახმარება აღმოუჩინეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-დან შემოვიდა შეტყობინება, რომ ყაზბეგში, მყინვარწვერზე მყოფ ტურისტს, რომელსაც ქვედა კიდურის მოტეხილობა აღენიშნებოდა, დახმარება ესაჭიროებოდა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამთო მაშველებმა შეტყობინების მიღებისთანავე მყისიერი რეაგირება მოახდინეს. 4 500 მეტრ სიმაღლეზე მყოფი უცხოელი ტურისტი, რთული რელიეფის მიუხედავად, საკაცით ვერტმფრენამდე უსაფრთხოდ მიიყვანეს.

სამაშველო ჯგუფთან ერთად ექიმიც იმყოფებოდა, რომელმაც დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე გაუწია.

შვიდი საოცარი მიზეზი, რის გამოც საქართველოს უნდა ეწვიოთ

უგემრიელესი საჭმელების, თვალწარმტაცი ბუნებისა და მდიდარი ისტორიის წყალობით საქართველო მოგზაურობის მოყვარულთა პოპულარულ ადგილად იქცა. ამასთან, ქვეყანას, რომელიც მიმდინარე წელს ბრიტანელი ტურისტებისთვის მისაწვდომი გახდა პირდაპირი ავიარეისებით (ლონდონის „გატვიკის“ აეროპორტი-თბილისი), უფრო მეტის შემოთავაზება შეუძლია, ვიდრე ხაჭაპური და წითელი ღვინოა. მართლმადიდებელ ტაძრებთან ერთად აქ ყვავის ღამის კლუბები და კაზინოები... განა თქვენ ოდესმე გიცეკვიათ მთელი ღამის განმავლობაში საბჭოთა პერიოდის „ფაბრიკაში“, ტროპიკულ პლაჟზე ან გინახავთ კლდეებში გამოკვეთილი ეკლესიები? აი, ის შვიდი საოცარი მიზეზი, თუ რატომ უნდა ეწვიოთ საქართველოს:

1. საქართველოში ევროპის ყველაზე საოცარი ზღვისპირა ქალაქი

საქართველოს შავი ზღვისპირეთში საოცარი სუბტროპიკული მიკროკლიმატია, იქ თავს ისე იგრძნობთ, თითქოს კუნძულ ბალზე ხართ. ყველაზე კარგი ადგილი ბათუმია, სადაც კაზინოიან ცათამბჯენებსა და ეშმაკის ბორბალს ზღვიდანაც შეამჩნევთ. იქვეა ბულვარიც, მე-19 საუკუნისდროინდელი, რომელიც რუდუნებითაა გარემონტებული. ახლოსაა ბოტანიკური ბაღი, რომელიც მთის ფერდობზეა შეფენილი. აქ ნახავთ პალმებს და სხვა მცენარეებს სამხრეთ ამერიკიდან, მექსიკიდან და სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან. ზაფხულობით ჰაერი ტენიანია, ხშირია წვიმა და ჭექა-ქუხილი. ასე რომ, საცურაო კოსტიუმთან ერთად საწვიმარი ლაბადაც თან იქონიეთ.

2. ბათუმური ყავა

ლონდონის ყავახანებში ქართული ყავის მსგავსს ვერ ნახავთ. ამ ქვეყანაში ძალიან ბევრ ყავას სვამენ, თანაც ტრადიციულად მაგარს და მწარეს, როგორც თურქულს.

3. ღამის გართობები

ბათუმისა და თბილისის ღამის კლუბებში მსოფლიოში ცნობილი დიჯეები მუშაობენ. შეგიძლიათ ეწვიოთ „ბასიანს“ და კლუბს „მტკვარზე“. ასევე დატკბებით „ფაბრიკით“ და სხვა ბარ-რესტორნებით თბილისის ცენტრში.

4. ლუდი? რამდენიც გნებავთ!

საქართველო განთქმულია თავისი საუკეთესო ღვინოებით (ამაზე ქვემოთ), მაგრამ თბილისში ლუდის სახარშებიც ბევრია, რომლებიც სანაქებო სასმლით ამარაგებენ ლუდის ბარებს, მაგალითად, სოლოლაკში მდებარე Black Dog Bar. ოღონდ ერთი გაფრთხილება: ქართული ლუდი საკმაოდ მჟავეა და მას უნდა მიეჩვიოთ, თუმცა მისი სმა იდეალურია ცხელ ამინდში. იგივე Black Dog Bar-ში საინტერესოა ლუდის დალევა ქართული მწნილით და კამამოყრილი შემწვარი კარტოფილით.

5. სამოთხე ველოსიპედისტებისათვის

დიდი ქალაქებისაგან მოშორებით საქართველოში ველოსიპედისტები ჯერ კიდევ იშვათობაა, თუმცა ბოლო დროს სიტუაცია აშკარად იცვლება: სულ უფრო მეტი ველოსიპედით მოგზაურობის მოყვარული ცდილობს „გაინტერესოს“ „აბრეშუმის დიდი გზის“ მარშრუტით და აზიაევროპის შემაერთებელი დერეფნით. ველოსიპედისტებს მთის გზებზეც შეხვდებით, ოღონდ გახსოვდეთ: მოერიდეთ ძროხებს, რომლებიც თავისუფალი სიარულის უფლებით სარგებლობენ.

6. კლდეში ნაკვეთი მონასტრები

საქართველოში რამდენიმე ცნობილი კლდეში ნაკვეთი ნაგებობაა, რომელთა ნახვისას „ვარსკვლავური ომების“ სცენები გაგახსენდებათ. სასულიერო პირები ცხოვრობენ ვარძიის ეკლესიაში, რომელიც საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და რომელშიც სამი ათასამდე ხელით ნაკეთი გამოქვაბულია. უფლისციხე, რომელიც გორთან ახლოს მდებარეობს, ადრეულ ბრინჯაოს ხანაშია შექმნილი. აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, უდაბნოში მდებარეობს საოცარი საეკლესიო კომპლექსი დავით გარეჯი, სადაც 13 სხვადასხვა რელიგიური ნაგებობაა.

7. ქართული ღვინო

ქართველების მტკიცებით, მათი ქვეყანა მევენახოება-მეღვინეობის სამშობლოა და მას ღვინის დამზადების მდიდარი კულტურა აქვს. ქართული ღვინო მზადდება დიდ ამფორებში — ქვევრებში, რომლებშიც ყურძნის წვენი ქარვისფერ სასმლად გადაიქცევა ხოლმე. ქართული ღვინის სმა ქართულ სუფრაზე ხდება, სადაც თამადა — სუფრის გამძღოლი — დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს. თამადის როლს, ჩვეულებრივად, ოჯახის უფროსი ასრულებს; იგი წარმოთქვამს გრძელ სადღეგრძელოებს, დაწყებული უფლის სადიდებლით, დამთავრებული სუფრის წევრებით. ბევრი სადღეგრძელო ყანწებით ისმება.

„THE DAILY TELEGRAPH“

(დიდი ბრიტანეთი)

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

◎ ყველაფერი ყველაფერზე

დღის იდეალური განრიგი

საკვები დანამატების მწარმოებელი ერთ-ერთი ბრიტანული ფირმის სპეციალისტებმა ცხოვრების ჯანმრთელი წესის მიმყოლი ათასი კაცის დღის განრიგი შეისწავლეს.

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მათ იდეალური განრიგი შეადგინეს, რომლის დაცვით ჩვენს მიერ დღის განმავლობაში გაკეთებული ყველა საქმისგან მაქსიმალურ სარგებელსა და კმაყოფილებას მივიღებთ.

მაშ ასე, 7-9-საათიანი ძილის შემდეგ **გაღვიძებისთვის** საუკეთესო დროა 06:45 საათი.

საუზმემდე — **07:00 საათზე გარბენის** დროს ყველაზე მეტი ცხიმის დაწვა შეიძლება.

07:15 საათი — საუზმე. ეცადეთ, საჭმელი ერთსა და იმავე დროს მიიღოთ, რაც გახდომაში შეგიწყობთ ხელს.

07:30 საათი — გაღვიძებიდან 45 წუთის შემდეგ დრო საუკეთესოა **სექსუალური ურთიერთობებისთვის** — ამ დროს პარტნიორები ენერგიით აღსავსენი არიან.

09:45 საათი — სამუშაოს დასაწყისი. გაღვიძებიდან სამი საათის შემდეგ ჩვენი მეხსიერება გონებრივი და შემოქმედებითი უნარები პიკზეა.

10:45 საათი — შესვენება. ამ დროს სტრესის დონე ძალზე მაღალია.

12:15 საათი — სადილი. ის საუზმიდან ოთხი საათის შემდეგ უნდა მიირთვათ.

15:30 საათი — მსუბუქად წახემსებისა და ნებისყოფის გამოჩენის დრო: ადამიანთა უმრავლესობა დიეტას სწორედ მაშინ არღვევს.

18:00 საათი — ვახშამი. კალორიულობით იგი დილის საუზმის ტოლფასი უნდა იყოს.

18:15 საათი — ბოკალი ღვინის დალევის დრო. ეს დაძინებამდე ოთხი საათით ადრე უნდა ქნათ, რათა ღვიძლი ზედმეტად არ გადატვირთოთ.

18:30 საათი — სიმძიმეების აწევა. საღამოობით ფიზიკური ძალა იმატებს.

22:10 საათი — ძილის დრო. სრულ ჩაძინებამდე 30 წუთი დაგრჩებათ, რომელიც ყველაზე დიდი სარგებლის მომტანია.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4616; ევრო - 2.9569;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2530;
100 რუბლი - 4.3088; თურქული ლირა - 0.7242;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4501;
1000 სომხური დრამი - 5.1444.

ამინდი 13 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15 დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +34
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +35
თბილისი: ღამე +20, დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge